პროლეტარელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 30 (19472) ◆ ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

განვამტკიცოთ საფინანსო დისციპლინა

ყოველი საზოგადოების სახეს, საბოლოო ანგარიშით, მათი საწარმოო ძალების განვითარების დონე, წარმოებითი ურთიერთობის სასიათი განსაზღვრავს. ეკონომიკის სფეროში საკვანძო ამოცანაა შრომის ნაყოფიერების კარდინალური ზრდა. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის კი, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, უპირველესი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთიან მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკას, ახალი მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიის შექმნას, ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას.

ყრილობისწინა დოკუმენტებით და, კერძოდ, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტით გათვალისწინებულ ამოცანათა გადაწყვეტას მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, მოძველებული ტექნიკური ბაზის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებითა და მოგების გაორმაგებით შეეძლებთ. სოლო ეს უკანასკნელი რომ შუბობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია, ამას მტკიცება არ სჭირდება და ეს კარგად იციან სამეურნეო ხელმძღვანელებმა. იგი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი, აუცილებელი პირობაა. ამის შესახებ გარკვევით ითქვა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე.

რესპუბლიკაში ერთი და ორი როდის ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც თავს არომევენ მოგების გეგმის დავალებას და იუჭყობესებენ ფინანსურ მდგომარეობას. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. უმჯობესია ვილაპარაკოთ იმათზე, რომლებიც ამ მიმართულებით ჩამორჩენიან.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში. ზენორმატიული ნაშთების ბრუნვაში ჩართვის დავალება როგორც ქუთაისის ამრეშუმის საწარმოო გაერთიანებას, ისე თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატს ისედაც შემცირებული განსაზღვრთ, მაგრამ გასული ხუთწლეულის მანძილზე ნაშთები არათუ არ შემცირდა, 3-4-ჯერ გაიზარდა და, შესაბამისად, 34 და 31 მილიონი მანეთი შეადგინა. საერთოდ, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოებმა შეაფერხეს რესპუბლიკის წინსვლა, მთანმქმენ ხუთწლედის დამდეგიდან დაზოგილი თანხები, მოგვისპეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების საშალება. ეს მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის მიხედვით ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკა თავის დროზე ქვეყანაში პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით დამატებით შემცირების ერთ-ერთი ინიციატორი გამოვიდა. თითქოს ეს ფაქტი ბევრს გვაკვირვებდა, მაგრამ ამას ყველამ ვერ გაართვა თავი. გასული წლის იანვარ-ნოემბრის მაჩვენებლებით დამატებითი დავალება ვერ შესრულა 20-მა საწარმომ. რაც შეეხება „ქიმბოჭკოს", „აზოტს", „საქქანაზშირის" საწარმოო გაერთიანებებს, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნებს და ზოგიერთ სხვა საწარმოს, თვითღირებულების შემცირების ნაცვლად მილიონობით მანეთი გადახარჯეს.

იანვარ-ოქტომბერში რესპუბლიკის 43 სამინისტროსა და უწყებიდან მოგების დავალებას თავი ვერ გაართვა თორმეტმა. განსაკუთრებით ჩამორჩენილ ამ მხრივ ყოფილი ნიკორწმინდის მეურნეობის, აგრეთვე მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ხისა და ხე-ტყის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროები. რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, სამ სასელმწიფო ზეგეგმით 85,9 მილიონი მანეთით აზარალეს. „სამწუხაროდ," მრავალ ორგანიზაციას ჯერჯერობით ზარალი ეგეგმება. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ ისინი ამ დაგეგმილი ზარალის ფარგლებშიც ვერ ეტევიან. მათ შორის გასლავთ „საქთვეზმრეწი", რუსთავის „ქიმბოჭკოს", „საქნავთობის", რუსთავის „აზოტის", „საქქანაზშირის" საწარმოო გაერთიანებები, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხანა.

მთელ რიგ საწარმოებში მოგების მაჩვენებელს რატომღაც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა ხელმძღვანელები მოგების დავალების შესრულებას რომ ისეთივე სერიოზულობით ეკიდებოდნენ, როგორც, ვთქვათ, წარმოების მოცულობის ან შრომის ნაყოფიერების ზრდას, მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. დროა ამ საკითხს მთელი სერიოზულობით, პასუხისმგებლობით მივუდგეთ, სხვანაირად დღეს აღარ შეიძლება.

სამრეწველო საწარმოებში შექმნილი საერთო ფინანსური მდგომარეობა ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ამაზე არაერთხელ ყოფილა პრინციპული სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, მრეწველობის დარგობრივ თათბირებზე. ამ საკითხზე მსჯელობა იყო შარშან დეკემბრის დამლევს გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზეც, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. საქმე ის არის, რომ საკმაოდ ბევრი სამეურნეო ორგანიზაცია მთლიანად ხარჯავს არა მარტო საკუთარ, არამედ ნასესხებ საბრუნავ სახსრებსაც. ზოგჯერ საწარმოში მაღალია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მაგრამ სრულიად შეუწყვარებელია საფინანსო დისციპლინა.

აღარ უნდა მტკიცება იმაზე, რომ მოგების გეგმის შესრულებაში წამყვანი ადგილი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას ენიჭება. არადა რესპუბლიკის მრავალი საწარმო თავს ვერ აღიმეფს მაჩვენებლის შესრულებას, ზედმეტად იხარჯება მილიონობით მანეთი. სხვა ფაქტორებთან ერთად, მოგების დავალების შესრულებაზე უარყოფითად მოქმედებს მცდარი ფაგეგმა. ამიტომ სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, სხვა ორგანიზაციებმა მკვეთრად უნდა გაუმჯობესონ გეგმის შედგენის ხარისხი, ისინი დასაბუთებული, რეალური უნდა იყოს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ობიექტური ეკონომიკური კანონების პირობებში ყოველი ეკონომიკური კატეგორია თავის როლს ახრულებს სამეურნეო საქმიანობაში. ცხადია, ამიტომ ყველა მაოგანს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას არ ახდენდეს მოგების ზრდაზე. იქ, სადაც არ ისწავლეს ერთიულ პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯების შემცირება, არ ზოგავენ ლითონს, სხვა ნედლეულსა და მასალას, ელექტროენერგიას, სათბობს, არ იყენებენ მეორეულ რესურსებს, ზედმეტია მოგებაზე ლაპარაკი.

რენტაბელობა ბევრად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხის შეუნელებელი გაუმჯობესებისათვის ზრუნვაზე. მხოლოდ ყაირათიანად დამზადებული უმაღლესი კატეგორიის ნაწარმი შეიძლება იყოს რენტაბელური და, ცხადია, მომგებიანი.

დღეს რესპუბლიკაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა 2 მილიარდ მანეთზე მეტი ზენორმატიული ნაშთებია დაგროვილი, რომელთა შენახვა, ყოველწლიური ინვენტარიზაცია და შეკეთება, რომ არაფერი ვთქვათ ბუნებრივ დანაკარგებზე, ძმიმე ტვირთად აწევს რესპუბლიკის ბიუჯეტს, ამცირებს საკრედიტო დაბანდებას. მარტო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით უკანასკნელ წლებში გაუსაღებელი პროდუქციის ჩამოფასებისათვის 30 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

მიუხედავად განსორიელებული ღონისძიებებისა, ძმიმე ფინანსურ მდგომარეობაშია საკონსერვო მრეწველობა და, კერძოდ, აგარის საკონსერვო ქარხანა. მისმა სახელმწიფო ბანკისათვის ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 6,3 მილიონი მანეთი შეადგინა. ასეთი მაგალითების მოყვანა, რომ იტყვიან, კიდევ შეიძლებოდა.

ფინანსები საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სარკეა. საფინანსო მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის პრესტიჟის შემდგომ ზრდას. ამას კი მივაღწევთ მომჭირნეობით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, პროდუქციის რენტაბელობის ზრდით, სახელმწიფოებრივ დისციპლინის დაცვით, ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გადიდებით.

კომუნისტური შაბათობა გვიხმობს

სიღნაღი

მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ, რაიონის ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივმა აუბა მხარი; ყველა მათგანს შედგენილი აქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა. რაიონის 15.000 მშრომელი მიიღებს შაბათობაში მონაწილეობას, გამომუშავებულ თანხის გარკვეულ ნაწილს გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში.

სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სამუშაოდ გამოვა 500 კოლმეურნე, 100-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობას მიიღებს სამშენებლო სამუშაოებში. გამომუშავებული თანხის ნახევარს კოლმეურნეობა ახალი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს.

სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებსა და ვენახებში, მშენებლებზე 400-ზე მეტი კაცი იმუშავებს.

მათ მხარში ამოუდგებიან ისეთ მსხვილ საწარმოთა კოლექტივები, როგორიც არის წნორის სახორცე მეტროხეობის კომპლექსი, „იორწყალშენის" ტრესტი, სამკერვალო ფაბრიკა, მექანიკური სახელოსნო, პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზა და სხვა. (საკ. კორ.).

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას!

თელავი

რაიონის მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას — გადაადგილონ სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი შაბათობა შრომის უდიდესი ნაყოფიერების დღედ, გამოუშვან მეტი კარგი ხარისხის პროდუქცია, გამოიჩინონ ყაირათიანობა.

შაბათობის მაოალორგანიზებულ დონეზე წარმართვისათვის პარტიის თელავის რაიკომის ბიურომ შექმნა შაბათობის მომზადების რაიონული შტაბი.

შრომითს კოლექტივებში შექმნილი ანალოგიური შტაბებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 24.900 კაცი, სამუშაო ადგილს დაიკავებს 15.800 კაცი.

დამზადდება 550 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 80 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, შეგროვდება 50 ტონა ფირადი და შავი ლითონების ჯართი. რაიონში გამომუშავებული საერთო თანხიდან ხუთწლედის ფონდში 52.000 მანეთი გადაირიცხება.

გორი

ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის კოლექტივი ფართოდ ემზადება სკკპ XXVII ყრილობისადმი მიღებული შაბათობისათვის.

შრომის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 750 ხელსაწყოთმშენებელი, აქედან პროდუქციის შექმნაზე 310 კაცი დასაქმდება. დამზადდება 30 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში 3.500 მანეთი გადაირიცხება.

ამ დღეს საამწყობო საამქროს გ. ვათიაშვილის ამწყობ ზეინკალთა და საცდელი უბნის გ. გოგიაშვილის კომპლექსური ბრიგადები ორი თვის დავალებას შეასრულებენ. დიდნაყოფიერი შრომით აღინიშნება შაბათობა საწარმოს ყველა საამქროში, უბანზე, ბრიგადაში. კეთილმოწყობა ქარხნის ტერიტორია, წესრიგში მოიყვანენ ტექნოლოგიურ დანადგარებს, სხვა ტექნიკას. (საკ. კორ.).



● **ფოთი.** ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელი სწრაფი ტემპით დაიწყო და ამიტომაც მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს. სტაბილურია ყოველი დღის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სწორედ ამან განაპირობა, რომ ფოთელებმა საქართველოს კომუნისტთა დიდი ფორუმის გახსნის დღისათვის შეასრულეს იანვრის გეგმა.

სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაძლიერდა ბრძოლა მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის დაცვისათვის, იზოგება ელექტროენერგია, სათბობი, მასალები და ნედლეული, განმტკიცდა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები.

საწარმოს კოლექტივმა მხარი დაუჭირა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ ზეინკალთა, ფაბრიკა „ნარიყალას" № 3 საამქროს და თბილისის საფუვრის ქარხნის ბრიგადების ინიციატივას სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ორი თვის გეგმის 25 თებერვლისათვის შესრულების თაობაზე.

„კომუნისტის" კორ.

● **ჰიათურა.** კარგი საჩუქარი მიიღეს ქართული მანგანუმის ქალაქის მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის წინ. აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა თანამედროვე ტიპის პროექტის მიხედვით აგებული სამგზავრო-ავტოსადგური. იგი „ჰიათურმანგანუმმშენის" ტრესტის მეექვსე სამშენებლო სამმართველომ (უფროსი — ს. ხომასურიძე, სამუშაოთა მწარმოებელი — ი. ხვედელიძე) ააგო. მშენებლებმა სოლიდური მოცულობის სამუშაოები შეასრულეს, მთლიანად აითვისეს 648 ათასი მანეთი. ავტოსადგურის გარე ფასადი მომზიდველად მოაპირკეთეს ეკლარის, გრანიტის, ტუფის, ბაზალტის სამშენებლო მასალებით.

ახალ ავტოსადგურში ყველა პირობაა შექმნილი მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის. ცალ-ცალკე გამოიყო დედათა და ბავშვთა, ფოსტა-ტელეგრაფის, მძღოლთა სასტუმრო ოთახები და შემნახველი სკანი.

საკავშირო-საშუალოსადგურის კოლექტივი მიმდინარე წლის ორი თვის გეგმას სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულებს.

„კომუნისტის" კორ.

დამკვრელური შრომით

ბევრმა, ცხადია, არც იცის, რომ თბილისის დინამოს სტადიონის მასიური ლითონის კარკასები და ფოლადის გოლიათური საყრდენები რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაშია შექმნილი. რა თქმა უნდა, არც ის, რომ ამ საწარმოში დამზადდა თბილისის მთავარი მოედნის ფიგურული კონსტრუქციებიც. სწორედ აქ შექმნილ კონსტრუქციებს იყენებენ რესპუბლიკის მრეწველობის უდიდესი საწარმოების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ქარხნის კოლექტივის გამართული მუშაობა რესპუბლიკის სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტითა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად საწარმოს კოლექტივმა უმარავი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება უნდა განახორციელოს.

ამჟამად ქარხანაში მიმდინარეობს მცირე რეკონსტრუქცია. სწრაფი ტემპით ცვლიან ფიზიკურად და მორალურად მოძველებულ დანადგარებს. ამოქმედდა კუთხის მჭრელი ავტომატური ხაზი, რომელზედაც რამდენიმე რთული საწარმოო ოპერაცია სრულდება, მწყობრშია მრავალშპიგელიანი საბურღი ჩარხი, რომლის საშუალებითაც მძიმე შრომისაგან ათობით ადამიანი გამოთავისუფლდა. შესრულდა და სრულდება, ასე ვთქვათ, დიდი „იერიშის" დაწყების წინა სამუშაოები. საქმე ის არის, რომ შედგენილია თანამედროვე, უდიდესი მწარმოებლობის ტიპრნიკით ქარხნის მთლიანი განახლების პროექტი, და მისი განხორციელება მეთორმეტე ხუთწლედში, მაგრამ შედარებით მოგვიანებით დაიწყება.

ჰოდა, ვიდრე საწარმოს გენერალური რეკონსტრუქცია დაიწყება, უთუოდ უნდა შესრულდეს მიმდინარი ხუთწლედის პირველი წლების დაძაბული გეგმები. ამიტომ ქარხნის კოლექტივის ყურადღების ცენტრშია საწარმოო სიმძლავრეების რაციონალურად გამოყენების საკითხი, მოქმედი მოწყობილობების მწარმოებლობის ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და, რასაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება.

ამ მხრივ აქ დიდ იმედებს ამყარებენ იჯარით მომუშავე ბრიგადებზე და სწორედ ამ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება კორესპონდენციაში.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვა საწარმოში 1982 წლიდან დაიწყო. კომპლექსური ბრიგადები ჯერ პირველ და მესამე საამქროებში ჩამოყალიბდა. ამას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები: განსაზღვრა წარმოების ის უბნები, რომლებზეც ბრიგადების შექმნის მეტი საშუალება იყო. ბრიგადები დაკომპლექტდა მაღალი კვალიფიკაციის მუშებით, გამოცდილი ოსტატებით. შეიქმნა საბჭოები, რომლებიც სამმართველო და ორგანიზაციული ფუნქციები დაეკისრათ. ეგი სისტემატურად განიხილავს შრომის ორგანიზაციას, სოციალისტური შეჯიბრების, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის გაუმჯობესების საკითხებს.

ხელფასის გაკეთისას წინა პლანზეა წამოწეული შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი: ითვალისწინებენ სატარიფო თანრიგს, ფაქტობრივად ნამუშევარ დროს, პროფესიულ ოსტატობას, შესრულებულ სამუშაოთა სირთულეს, გამომუშავებას, მკვეთრად შემცირდა ადრების დენადობა.

მესამე საამქროს უფროსის ა. ელიზბარაშვილის აზრით, კომპლექსური ბრიგადების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო დისციპლინის განმტკიცებას და ეს კი უმთავრესია. შეიქმნა, „ბათბა" ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, კოლექტივი ერთ დიდ „მუშაად" იქცა.

გ. თიკანაშვილის კომპლექსური ბრიგადა, მაგალითად, ერთ-ერთი წამყვანია ზემოხსენებულ საამქროში. ამ კოლექტივში არც ერთ მოვალეობისადმი ბრიგადის თითოეული წევრის დამოკიდებულებას, პასუხისმგებლობას. თუ მუშა შეუნელებლად იბრძვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ხვეწს ოსტატობას, ეუფლება მომიჯნავე პროფესიებს, მისი შრომითი მონაწილეობის შეფასების მაჩვენებელი, ცხადია, უფრო ხელსაყრელად გამოიყურება. წუნისმკეთებლის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დამრღვევებისათვის საქმეში მონაწილეობის კოეფიციენტი იკვეცება. ბრიგადებში ომი აქვს გამოცხადებული ალკოჰოლიზმს და სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენას. ამ მხრივ წესრიგის დამრღვევები ავტომატურად კარგავენ მატერიალურ სტიმულირებაზე პრეტენზიების უფლებას.

დღეისათვის საწარმოში 29 იჯარული მეთოდით მომუშავე ბრიგადა მოქმედებს და მათში 293 კაცია გაერთიანებული. დღიდან შექმნისა, შრომის ნაყოფიერება ბრიგადებში 17,9 პროცენტით გაიზარდა, საგრძნობლად გადიდდა

მძიმე სამუშაოს ავტომატები ასრულებენ

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

რებენ იჯარით მომუშავე ბრიგადებზე და სწორედ ამ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება კორესპონდენციაში.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვა საწარმოში 1982 წლიდან დაიწყო. კომპლექსური ბრიგადები ჯერ პირველ და მესამე საამქროებში ჩამოყალიბდა. ამას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები: განსაზღვრა წარმოების ის უბნები, რომლებზეც ბრიგადების შექმნის მეტი საშუალება იყო. ბრიგადები დაკომპლექტდა მაღალი კვალიფიკაციის მუშებით, გამოცდილი ოსტატებით. შეიქმნა საბჭოები, რომლებიც სამმართველო და ორგანიზაციული ფუნქციები დაეკისრათ. ეგი სისტემატურად განიხილავს შრომის ორგანიზაციას, სოციალისტური შეჯიბრების, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის გაუმჯობესების საკითხებს.

ხელფასის გაკეთისას წინა პლანზეა წამოწეული შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი: ითვალისწინებენ სატარიფო თანრიგს, ფაქტობრივად ნამუშევარ დროს, პროფესიულ ოსტატობას, შესრულებულ სამუშაოთა სირთულეს, გამომუშავებას, მკვეთრად შემცირდა ადრების დენადობა.

მესამე საამქროს უფროსის ა. ელიზბარაშვილის აზრით, კომპლექსური ბრიგადების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო დისციპლინის განმტკიცებას და ეს კი უმთავრესია. შეიქმნა, „ბათბა" ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, კოლექტივი ერთ დიდ „მუშაად" იქცა.

გ. თიკანაშვილის კომპლექსური ბრიგადა, მაგალითად, ერთ-ერთი წამყვანია ზემოხსენებულ საამქროში. ამ კოლექტივში არც ერთ

ოცდაათი წელი

ოცდაათი დაძაბული წელიწადი განვლო თავდადებულ შრომაში გურამ რუსიამ და ეს ცოტა როდია კაცისათვის, რომელსაც ჯერ 46 წელიც არ შესრულებია.

წინ კი დიდი გზაა, რომელზეც, უეჭველია, ისევე წარბშეუხრელად და ღირსეულად ივლის, როგორც აქამდე. მან შეძლო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის სიყვარულის დამსახურება და ეს არც ისე იოლი იყო.

ჩუმია და უპრეტენზიო, გულდადებით, მონდომებით ასრულებს ყოველ დავალებას. ავტომშენებლები უსაზღვრო პატივს სცემენ მას. თანამოსაქმეებს, მეგობრებს, ხელმძღვანელებს რომ ჰკითხოთ, უყოყმანოდ გეტყვიან: — ბევრი, რაც შეიძლება ბევრი უნდა გვყავდეს ასეთები, გულისხმიერი, უოლატო ადამიანები, ნამდვილი ავტომშენებლები და ჭამან არაფერი გაგვეჭირდება. ნებისმიერი სირთულის ამოცანას დაეძლევთ...

ოგლის კვერი...

— 1955 წლის შემოდგომაზე რომ ვინმეს ეთქვა, შენ, გურამ რუსია, 30 წელიწადს მოთავეებ ამ ქარხანაშიო, ალბათ ვერ დავიჯერებდი. არა, „წასამუშაებლად" მოსვლა არც მიფიქრია. კაცმა რომ თქვას, ბიცოლას ღარიბ ლუკმაზე გამოზრდილ, აბაშიდან უცხო ქალაქში გადმოხვეწილ ობოლ ბიჭს არც მჭონდა არჩევნის საშუალება. კარგად ვიცოდი, სად და რისთვის მოვდიოდი, თანაც მაშინ, თხუთმეტიოდე წლისას, ცოტა არ იყოს, რომანტიკაც მხიბლავდა — ავტომანქანები უნდა მეკეთებინა, ის მანქანები, ბაჟშვობიდან რომ მიყვარდა... მაინც, რა მალე გარბის წლები... არადა, აგერ, ჩემ გვერდით ხალხს 35 წელი და კიდევ მეტი ნამუსიანად უკეთებიათ თავიანთი საქმე, რომელი ერთი დავასახელო: იაშა ჯღამაძე, თუ სერგო კოლუმბეგაშვილი, ოთარ წიგნაძე თუ სარგის ბეკოშვილი, ბორის ვაშაკიძე ხომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი... მოდი და ამის შემდეგ თქვი, ოცდაათი წელი ბევრიაო, — ამთავრებს საუბარს გურამი.

მაძიებელი კაცია გურამ რუსია, მაძიებელი და ოპტიმისტი, არ უყვარს ერთი ადგილის ტკეპნა. შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის მუდმივ ფიქრს, დაუოკებელ სწრაფვას მოაქვს ახალი რაციონალიზატორული წინადადებები. ასეთი წინადადება კი 250-ზე მეტია გურამის პირად ანგარიშზე. მათი აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებით დაინერგა ქარხნის შასის საამქროსა და აგრეგატულ წარმოებში.

უკან დარჩა პირველი სიძნელეები, პირველი გამარჯვების სიხარული... გზის დასაწყისში თვალებგაფართოებული, თხუთმეტიოდე წლის ბიჭი დგას და ხარბად ისმენს ოსტატის შეგონებას... გაიგლის ცოტა ხანი და მის ხელებს ადვილად დაემორჩილება ურთულესი დანადგარები, შეიძენს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, თავად გახდება ოსტატი, სექციონერ-გამმართველი, დამრიგებელი, კოლექტივისათვის უყორესად საჭირო ადამიანი, მიიღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში და... ასე თანდათან გამოცხვება ობლის კვერი...

სექციონერ-გამმართველობა ერთ-ერთი ყველაზე რთული პროფესიაა.

— ვინ უნდა აამოქმედოს ახალი ჩარხი?

— სექციონერ-გამმართველმა!

— ვინ უნდა დაამაგროს ჩარხზე პირველი დეტალი?

— სექციონერ-გამმართველმა!

— ვის არ ეპატიება სულ მცირეოდენი უზუსტობა?

— სექციონერ-გამმართველს!

გურამი თითქმის ყველაფერზე აგებს პასუხს, ბევრი რამ მოეთხოვება, მაგრამ მას არ ეშინია დიდი პასუხისმგებლობის, სწამს საკუთარი ძალის, ამტომაცაა, რომ თამამად ენდობიან!

რეალურ ... [illegible] ... ოპერაციის ... [illegible] ... ინჟინერ-ტექნიკოსი, ... [illegible] ... ოპერაციის ათვისება დაეკისრა, გურამი, როგორც გამოცდილი სპეციალისტი, ერთ-ერთი პირველთაგანი გადაიყვანეს ძველი შასის საამქროდან ახალ აგრეგატულ წარმოებაში, სადაც ურთულესი ჩარხ-დანადგარები და ავტომატური ხაზები მონტაჟდებოდა, აქ მან შექმნა გამმართველთა ბრიგადა, რომელმაც უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები შეასრულა, მონაწილეობა მიიღო 150 დასახელების დეტალის ატესტირებაში.

გურამ რუსიას მდიდარი ბიოგრაფია აქვს, არის შრომის დიდების ორდენოსანი, დაჯილდოებულია მრავალი მედლით, არჩეულია პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრად, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა ავტოქარხნის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

და კიდევ ერთი ალიარება: — შარშან დეკემბერში ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXXV კონფერენციაზე გურამ რუსია საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს, აქ კი სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად.

ვის უნდა ვუმადლოდე ყოველივე ამას? კითხულობს გურამი და თვითონვე უპასუხებს. ისევ და ისევ ჩემს კოლექტივს, ჩემს თანამოსაქმეებს, ჩემს მეგობრებს, რადგან ჩემი დელეგატად არჩევა მათი ნამუსიანი შრომის საუკეთესო შეფასებაცაა... ერთი რამ ცხადია: რა შესაძლებლობისაც უნდა იყოს კაცი, თუ მას ხელისუფლებამ, სახელმწიფომ არ უდგას გვერდით, წყალში ჩაყრილია ყველაფერი, მე მოქალაქე ვარ, კომუნისტი ვარ და ჩემს სახელმწიფოს, ჩემს ხელისუფლებას ვუმადლი ყოველივეს, რასაც კი მივაღწევ...

ძნელია, ამ სტატიებს არ ეერწმუნო, დღეს გურამ რუსია სკკპ XXVII ყრილობის დელეგატია, მას საქვეყნო საქმეებს ეკითხებიან, უსმენენ, ეხმიანებიან, მის აზრს პატივს სცემენ...

ოცი წელია ღირსეულად ატარებს კომუნისტის სახელს. გურამ რუსიას ბევრისთვისაც მიუღწევია ცხოვრებაში, მაგრამ ასეთ წარმომადგენლობითს თავყრილობაში პირველად იღებს მონაწილეობას, მან კარგად იცის, რომ ეს დიდი ნდობა და პატივისცემა არანაკლებ პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

ბ. შარაბიძე,
ქუთაისის რადიომაუწყებლობის გადაცემათა რედაქტორი;

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.



სურათზე: გურამ რუსია თავისი ბრიგადის წევრებთან ერთად.
ო. ბერეზიკიძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქრილოგიდან — ქრილოგამდე

დოკუმენტურ-ილუსტრირებული გამოფენა

ულიანოვსკი. მთელი ცხოვრება, ისტორიის მთელი მსვლელობა დამაჯერებლად ცხადყოფს ლენინური მოძღვრების უდიდეს სიმართლეს. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ულიანოვსკის ფილიალში გახსნილ დოკუმენტურ-ილუსტრირებული გამოფენის — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ყრილობიდან ყრილობამდე" — მასალებს. ექსპოზიცია, რომელიც ასზე მეტ დოკუმენტს, ბროშურას, იშვიათ ფოტოსურათებს, ფირად სლაიდებს, პლაკატებსა და მხატვრულ მინატიურებს შეიცავს, პარტიის XXVII ყრილობას ეძღვნება.

გამოფენას ხსნის ფერადოვანი პლაკატი „გულით ალვიქვი, საქმით ვუპასუხებთ!". შთამბეჭდავია სტენდი, რომელიც ასახავს პარტიის მზარდ როლს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. იგი გვაცნობს, თუ როგორ განიხილავენ შრომითს კოლექტივებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებათა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა პროექტებს.

დიდ ინტერესს იწვევს ორი ბროშურა, რომლებიც გამოცემულია ომენეაში — 1905 წელს და მოსკოვში — 1919 წელს. პირველი შეიცავს მეორე ყრილობაზე მიღებულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამას, მეორე კი მერვე ყრილობაზე მიღებულ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პროგრამას.

საბჭო

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ — ᲣᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲘ

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲕᲚ-11-Ს — „ᲤᲠᲘᲐᲓᲘ“

განვაახლოთ და შევავსოთ ლოკომოტივებისა და ვაგონების პარკი მისი ახალი სერიების უფრო სიმდიდრე და ეკონომიური ლოკომოტივებით, ელექტრო და დიზელმატარებლებით, გადადებული ტვირთმეწყობის და ტევადობის სატვირთო ვაგონებით, გაუჯობესებული კომფორტულობის სამგზავრო ვაგონებითა და მეტროპოლიტენის ვაგონებით, გაზარდოთ სიექსპლოატაციო პარკში საეიაილიზებული ვაგონების წილი 1,8—1,4-ჯერ, — ნათქვამია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში.

ამ დოკუმენტში ხაზგასმულია ის, რომ რკინიგზების გამტარიანობა და ტვირთზიდვის უნარი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადადდეს იმ მიმართულებებით, რომლებიც ცენტრს უკავშირებენ უარალს, დასავლეთ ციმბირს, ვოლგისპირეთსა და ქვეყნის ევროპული ნაწილის სამხრეთს, ყაზახეთსა და შუა აზიას.

— ზემოხსენებული რკინიგზების გამტარიანობა თითქმის ათვისებულია, — ამბობს თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ზ. ჩივაძე, — ამიტომ მზარდი ტვირთბრუნვის ათვისება ძირითადად ტვირთზიდვის უნარიანობის გადიდებით, ესე იგი მძიმეწონიანი მატარებლების რაოდენობის ზრდით უნდა განხორციელდეს.

არის ასეთი მძლავრი ლოკომოტივი? არის! უკვე ათი წელია, რაც თბილისის „ელმავალმშენებლის“ ვლ-11 სერიის ლოკომოტივები ურალ-ციმბირის ყველაზე ვტირთდაძაბულ უბანს — სვერდლოვსკის რკინიგზას ემსახურებიან და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

სვერდლოვსკის ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი რკინიგზის უფროსის ვ. სკვარცოვის აზრით, თბილისური მარკის ლოკომოტივები ყველაზე ეფექტურია ამ გზაზე. ვლ-11 გამოირჩევა დიდი სიმძლავრითა და საიმედოობით, რასაც სვერდლოვსკის ხაზის ურთულესი რელიეფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც სვერდლოვსკის გზის სალოკომოტივო პარკი თბილისური ელმავლებით განახლდა. მძიმეწონიანმა შემადგენლობებმა საგრძნობლად გაადიდეს გამტარიანობა გზისა, რომელიც არნახულად განვითარებად ციმბირს ქვეყნის ევროპულ ნაწილს უკავშირებს.

ურალის ათობით მემანქანეს ახლა 4,5 ათასტონიანი, ხოლო ზოგ შემთხვევაში 6 ათასტონიანი შემადგენლობებიც დაეჯაქნ. თითოეული ვლ-11-ის გამოყენება 80 ათას მანეთს ზოგავს. თბილისში დამზადებულმა ამ სერიის ლოკომოტივებმა ნამდვილი მეგობრობის ხიდი გადეს ურალსა და საქართველოს შორის.

სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის გზათა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროებმა დაავალეს თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივს სამჯერ და მეტად გაზარდონ ლოკომოტივების წარმოება ფეთორმეტე ხუთწლედში.

ეს აღიარებაა, რომლის მიღწევა არცთუ ისე იოლი იყო. მეცხრე ხუთწლედის დამლევს ცხადი გახდა, იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული ელმავლები ვეღარ აკმაყოფილებდა რკინიგზის სულ უფრო და უფრო გაზრდილ მოთხოვნებს. სწორედ ამ პერიოდში თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მაშინდელმა მთავარმა ინჟინერმა, ახლა უკვე „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. ჩივაძემ მრავალსექციანი ფორმირების ლოკომოტივის შექმნის იდეა წამოაყენა. თუმცა სპეციალისტები ამ იდეას უარყოფდნენ, მაგრამ გზათა სამინისტრომ მხარი დაუჭირა მას და დაავალა ქარხანას ემუშავა ამ მიმართულებით.

საწარმოს, კერძოდ, მისი საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივების დიდი მონდომებით 1975 წელს დამზადდა ვლ-11-ის პირველი ნიმუში, რომელმაც წარმატებით ჩაიბარა გამოცდა. ამის შემდეგ ქარხანას ახალი ლოკომოტივის სერიული გამოშვება დაეკალა და ეს საქმეც სასურველი შედეგით დამთავრდა. საწარმოს კოლექტივმა 6-10 წლის ნაცვლად 3 წელიწადში დააგო თავი ლოკომოტივის სერიულ წარმოებას და რკინიგზელთა დიდი მადლობა დაიმსახურა.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲣᲐᲒᲣᲚᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ნათქვამია: „პარტიის პოლიტიკის საკანონმდებლო საქმიანობა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება და განმტკიცება, მისი დემოკრატიული, საერთო-სახალხო ხასიათის სულ უფრო სრული წარმოჩენა“. ეს ლაკონიური და ფუძემდებლური დებულება იმაზე მიუთითებს, რომ კომუნისტური პარტია ნიადაგ ზრუნავს სახალხო დეპუტატთა საბჭოების — სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძვლის, ხალხის სოციალისტური მმართველობის მთავარი რგოლის საქმიანობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის.

ახლა ჩვენში უველგან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დეპუტატთა საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მათი აქტიურობისა და ინიციატივის შემდგომ განვითარებას. ამ მხრივ ერთგვარ მუშაობას ეწევა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დეპუტატთა საწარმოო ჯგუფი. იგი მრავალფეროვანი საადეპუტატო საქმიანობით იღვწის იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საწარმოო გეგმების შესრულებას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას, ასორტიმენტის გაფართოებას.

დეპუტატებს შეგნებული აქვთ, რომ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო საწარმოა არა მარტო ყაიონში, არამედ ქალაქსა და რესპუბლიკაში, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კოლექტივს.

საწარმორ გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში ღირსეული ადგილი უკავიათ დეპუტატებს, ჯგუფის თითოეულ წევრს — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებს შ. ლობიშვილს, ნ. ქობალიას, ნ. აბულაძეს, ვ. დეღაშვილს, რაიონული საბჭოს დეპუტატებს მ. ჩახაიას, მ. აფციაურს, თ. ჯაჯანიძეს, გ. ღარიბაშვილს და სხვებს.

უკანასკნელ ხანს დეპუტატების ინიციატივითა და შრომითი აქტიურობით ჩატარებულია 3500 საწარმოო ღონისძიება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი 120 ათასი მანეთია.

მეთერთმეტე ხუთწლედის დავალების და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება ერთ-ერთმა პირველმა ჩემმა ბრიგადამ უპატაჟა, ეთავეთ შრომის მოცულობის ტევადობის 26 პროცენტით შემცირებ. და გადაწყვიტეთ 1986 წლის 6 თვის გეგმა-ვალდებულება „ეკ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოთ.

დეპუტატები ჩაბმული არიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში „სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური დეკადა“. ამასთან დაკავშირებით დეპუტატთა ჯგუფმა და თითოეულმა დეპუტატმა ვალდებულება იკისრეს გეგმები ვადაზე ადრე შეასრულონ.

დეპუტატთა ჯგუფი თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომისა და სამემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. მან სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად იმსჯელა ქარხნის მუშამოსამსახურეთა შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე და საჭირო რეკომენდაციები შეიმუშავა. დეპუტატთა და აქტივისტთა ერთობლივი სარეიდო ბრიგადები სისტემატურად ამოწმებენ და ავლენენ დისციპლინის დამრღვევებს და მასალებს აქვეყნებენ ფოტოსტენდზე — „ვინ გვარცხვენს“. ამასთან დაკავშირებით საამქროებში შექმნილია დეპუტატთა საგუშაგოები, რომლებიც მუდამ საყურადღებო სიგნალებს გვაწვდიან ამა თუ იმ უბანზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

როგორც ქარხნის ხელმძღვანელობის, ასევე დეპუტატთა ჯგუფის ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია ახალგაზრდობა. იგი დიდი ძალაა ქარხანაში. 131 კომკავშირულ-ახალგაზრდულ შრომითს კოლექტივში გაერთიანებულია 1300-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. აქედან 60 პროცენტი „კომუნისტური შრომის დამკვრელია“. ახალგაზრდათა უმეტესობა დავალებას 107 პროცენტით ასრულებს.

დეპუტატთა ჯგუფის რეკომენდაციით ჯვასა და კოჯორში კეთილმოეწყო პიონერთა ბანაკების შენობები და მიმდებარე ტერიტორია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქარხანაში მომუშავე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების შრომის და საყოფაცხოვრებო პირობები, სასიკეთო ხელი დაეტყო ტრანსპორტის მუშაობას, სამედიცინო მომსახურებას, საცხოვრებელი სახლების ცივი და ცხელი წყლით მომარაგებას და სხვა. ამ საკითხების მოგვარებას დეპუტატთა ჯგუფი სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით აღწევს. ეს გახლავთ საკუთარ სხდომებზე საკითხის განხილვა, ადმინისტრაციის წინაშე საკითხის დაყენება, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება და გატანა, ტერიტორიულ დეპუტატთა ჯგუფებთან კონტაქტი, ამომრჩევლებთან შეხვედრა და მათი განაწესის გათვალისწინება-შესრულება და სხვა.

ცხადია, დღეისათვის დეპუტატთა ჯგუფის წინაშე დიდი ამოცანები დგას. უწინარესად, ეს არის საყრილობო დოკუმენტების ფართო პროპაგანდა, ქარხნის მუშამოსამსახურეთა დარაზმვა გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

Ვ. ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



„ᲡᲐᲥᲔᲚᲘᲫᲒᲠᲝᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხნის პროდუქცია მოსწონს მომხმარებელს. იგი იგზავნება ქვეყნის ყველა რეგიონში, აგრეთვე კანადაში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საგრაგნილე საამქროს ოსტატი მ. ბიბილური და ამწყობი მ. ბერაძე გამოშვებული პროდუქციის ხარისხს ამოწმებენ.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲐᲛᲚᲕᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲕᲘᲠᲩᲘᲜᲘ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ თუ არა, რომ ბეუტიკომ კეფის ფიხანა დაიწყო, კალმისტარს ღრღნიდა და დაბნეულად იყურებოდა აქეთ-იქით, ბებო თებრო მიხვდა: უნდა დახმარებოდა შვილიშვილს, ეტყობა, გაუჭირდა გაკვეთილის მომზადება.

— ბერიკაცო, — მიუბრუნდა ქმარს, — წაეხმარე პატარა, ხომ ხედავ, არ მცალია, ღილები უნდა დავუკერო სკოლის ფორმაზე...

მიხოს, რომელსაც ცხვირი ჰქონდა ჩარგული გაზეთში, პასუხი არ გაუცია. იგი გატაცებით კითხულობდა ინფორმაციას მისი კოლექტივის — „ისნის“ ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების შრომითი გამარჯვებების შესახებ, რომელმაც გეგმის გადამეტებით ათასი წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა, თანაც „დაზოგილი ნედლეულით“...

— შენ გეუბნები! — ახლა უკვე ხმამაღლა შესძახა თებრომ. — გადადე იგ გაზეთი...

— პაპა, — დაიწყო ბეუტიკომ,— მასწავლებელმა ასეთი გაკვეთილი მოგვცა: მოვყვეთ კრილოვის არაკის „ქარიყლაპია და კატის“ შინაარსს და ვიმსჯელოთ მის მორალზე. შინაარსი კი მოვყევი, აი, მორალი კი...

— აი, შე სულელო, ასეთი მარტივი ჭეშმარიტება როგორ ვერ გაგიგია, რომ ხაბაზმა პური უნდა აცხოს, ხარაზმა კი წუღა-მესტები კეროს...

და აი, მიხომ დაიწყო ვრცელი ახსნა-განმარტება: ყველამ თვისი საქმე უნდა აკეთოსო, ნამუსიანად და კეთილსინდისიერად უნდა იშრომოსო.

ბეუტიკომ ყველაფერი გაიგო!... მიხომ კი, შვილიშვილისგან უჩუმრად, გადაუჩურჩულა თებროს:

— გულახდილად გეტყვი, ამ ბიჭს კი ავუხსენი, რა და რისთვის, და ეტყობა, გაიგო კიდეც, მე კი ეგრე გამიგია, რა ხდება ქარიყლაპიასა და კატის მხრივ ჩვენთან, „ისანში“. მესტების, ღვთის მადლით, ხაბაზები არ კერავენ... და მაინც, პირდაპირ არ ვიცით, რა ვუყოთ ამოდენა წუნიან პროდუქციას. მთელი საწყობები გაიჭედა, თუმცა 2,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ჩაწოლილი ფეხსაცმელი უკვე ჩამოწერეს და ნაწილი მოსპეს კიდეც „დაწვის ბზით“. ესეც კია, ბოროტ ენები ამტკიცებენ, ბევრნი ქართული ანდაზის მიხედვით მოქმედებდნენო: „თუ სახლი გეწოდეს, ხელები მოითბეო“. ჰოდა, „მოითბეს“ ხელები არარსებულ კოცონზე. ფეხსაცმლის ნაწილი სადღაც გვერდზე გააცურეს, მაგრამ სად? ამ კითხვას, უნდა ვივარაუდოთ, მალე გასცემენ პასუხს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები, როცა მათ ჯვარედინ ცეცხლში მოხვდებიან ჩვენი გაერთიანების თაღლითები და მომხვეპელები.

— მაშ, გამოდის, რომ არაკის მორალი თქვენ არ გამოგადგებათ? — გესლიანად შენიშნა თებრომ.

— არა, რატომ? მესტების კერვის მოხალისე ხაბაზები ცოტანი არ არიან, ეს ხომ ფრიად სარფიანი საქმეა, თანაც აქ იოლად შეიძლება მოიგდო ხელში მოზრდილი ლუკმა — ხაზინიდან და მოსახელთბა ჯიბიდან...

რა სადავოა, პაპა მიხო მართალი იყო. ამას წინათ წავიკითხე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის ცნობა, რომელშიც ზუსტად ასეა ნათქვამი: „საქფეხსაცმელეკავშრობის“ რესპუბლიკური ბაზის მონაცემებით, შარშან მიღებული ტყავის ფეხსაცმლიდან წუნიანი აღმოჩნდა 12,6 პროცენტი, და ეს ძირითადად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფაბრიკების პროდუქციაა. ახლა ისიც ვთქვათ, რამდენ წუნიან ფეხსაცმელს უშვებენ „ხაბაზები“, რომლებიც ფეხსაცმელს კერავენ ცხრა სხვადასხვა სამინისტროში და უწყებაში?! ეს გახლავთ თეატრალური და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებანი, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებანი, სპორტკომიტეტი და ხალხური მხატვრული სარეწების და სუვენირების „სოლანის“ საწარმოები, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და სხვათა საწარმოები. მათ ყოველწლიურად ბაზარზე გამოაქვთ 600 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, და ყველ მათგანს, როგორც თვითონ ამტკიცებენ, თავისი „კეთილშობილური“ მიზნები და ამოცანები აქვს. მაგალითად, თეატრალურ საზოგადოებას სურს საბალეტო ფეხსაცმლით მოამარაგოს სხვადასხვა ჯურის ფერიები, პრინცესები და გედები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებას — მოცეკვავეთა კოლექტივები და ეროვნული ანსამბლები, სპორტკომიტეტს — მორბენლები.

მაშ, რა გამოდის? კუსტარული სახელოსნოები, რომლებსაც დიდი ამბით საამქროებს თუ წარმოებებს უწოდებენ, „პირდაპირი დანიშნულების“ ერთი ბეწო პროდუქციას უშვებენ, სამაგიეროდ დიდ პარტიებად კერავენ „არაპროფილურ“, ჩვეულებრივ ფეხსაცმელს. მერე, ხარისხი? აი მეკვირტყველური ციფრები, რომლებიც „ხაბაზების“ საქმიანობას ასახავენ. შარშან რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის მიერ დაწუნებული ფეხსაცმლის ზედრითი წილი ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შეადგენს თითქმის 28 პროცენტს, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისა — 37 პროცენტზე მეტს, უსინათლოთა საზოგადოებისა — 45 პროცენტზე მეტს, თეატრალური საზოგადოებისა — დაახლოებით 13 პროცენტს. რამდენი ტყავი, წებო, ქსოვილი, ძაფი და სხვა დოვლათი იკარგება ტყუილად!

უსინათლოთა საზოგადოებაში იმისთანა ფეხსაცმელს კერავენ, რომ სილამაზითა და ლაზათით წებისმიერ, ყველაზე ჭირვეულ მუშტარსაც კი გააოცებს. ეტყობა, მაღალი კლასის ოსტატებს, ისეთ ხალხს დაუმზადებიათ, იშვიათი... მხედველობა და მხატვრული გემოვნება ჰქონიათ, თანაც ძვირად, სახელშეკრულებო ფასად კერავენ. მასობრივი კი — მრავალი ათასი წყვილი — წუნია!

— ბრმებს მეტი რა უნდა მოვთხოვოთო?! — თავს იმართლებენ აქ.

ამასთან დაკავშირებით უნებურად წამოიჭრება ორი ფრიად სამართლიანი კითხვა: ვინ კერავს აქ ამ შშეენიერ ფეხსაცმელს? და მერე, ნუთუ ასე აუცილებელია ბრმებს ვაკერინოთ მესტები?

ინდივიდუალური კერვის საქმე როგორღაა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სახელოსნოებში?

ᲐᲛᲚᲕᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲕᲘᲠᲩᲘᲜᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ქალაქებსა და სოფლებში ეს საქმე ხშირად წვრილ, კუსტარულ სახელოსნოებს აქვთ მინდობილი, რომლებიც ძალიან ჩამოჰგავან... კერძო დუქნებს. ეს კია, აქ მომუშავე ხაზარები თავს არ იცხელებენ ეგრეთ წოდებული პატენტის შეძენისათვის, შენობის დაქირავებისათვის, ნედლეულისა და მასალებისათვის, ყოველივე ამით სახელმწიფო ამარაგებს, თანაც ხელფასსაც უხდის. მუშტარს კი „მომსახურების“ ფულს საკუთარი, მარტო მათთვის ცნობილი კალკულაციის მიხედვით ართმევენ, და იმისათვის, რომ ყოველივე ამას რაღაც მოჩვენებითი კანონიერება და წესიერება მიანიჭონ, საკმაოდ ხშირად წერენ ქვითრებს „მკვდარ სულებზე“.

უნდა ითქვას, რომ „ინდივიდის“ წერტილი, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, მომრავლდა თბილისში, რუსთავში, აჭარაში და რესპუბლიკის ბევრ სხვა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში.

ამ „ფეხსაცმლის ქალაქში“ თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ „საქცენტრმრეწველრგვის“ სადარგთაშორისო ცენტრს. სწორედ იგი გეგმავს „წვრილ პარტიებად ფეხსაცმლის გამოშვებას და არ ითვალისწინებს არც სპეციალიზაციას, არც არსებულ სიმძლავრეებს, ნედლეულისა და მასალების ფონდებს, არც მუშათა კვალიფიკაციას და აიდეე ბევრ, ბევრ რამეს...

პაპა მიხოსა და ბებო თებროს გულუბრყვილოდ ეგონათ, თითქოს შვილიშვილს არ ესმოდა, რაზე ჩურჩულებდნენ. მაგრამ, უკაცრავად! როგორც ცნობილია, ბავშვებს ყურები სულ დაკვეტილი აქვთ. ბეუტიკოს არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია საუბრიდან. ამის შედეგად არაკის მორალი მის თავში ასე ჩამოყალიბდა: „საბარალო და უბედურმა ქარიყლაპიამ არ დაუჯერა კატის გონივრულ რჩევას და სიბერიყვის გამო, რა თქმა უნდა, უნგბაროდ ხელი მოჰკიდა სხვის საქმეს. და დაინაჯა კიდეც — ქვეყნის სასაცილო გახდა, და ბოლოს თაგვებმა კედი მოაკვნიტეს“. გამოდის რომ, არაკის მორალი ვერ მიუდგება ბევრ იმათგანს, ვინც მესტებს კერავს. ზოგი მათგანი ხომ ცუდად აკეთებს თავის საკუთარ საქმეს, სხვანი კი სხვათა საქმეს ჰკიდებენ ხელს ანგარების გამო. მერე, სასჯელი?!

რესპუბლიკის პროკურატურაში გამოვიკითხე, რამდენად ხშირად იყენებენ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს წუნისმკეთებელთა მიმართ. თურმე, მისი 160-ე მუხლი თითქმის არ მოქმედებს. თვითონ განსაჯეთ, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე იგი მხოლოდ ოთხჯერ გამოიყენეს.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ წუნისმკეთებლები თავს ლაღად გრძნობენ და ისე მომრავლდნენ, რომ ტბას ამოავსებ, თანაც, როცა ტბაში ამღვრეული წყალია, თევზის დაჭერაც უფრო იოლია, ქარიყლაპიასაც კი ლაყუჩებში ჩაავლებ ხელს.

Გ. ᲚᲔᲯᲑᲐᲜᲘᲫᲔ,
„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ კორ.
„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 1986 წ. 23.I.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔᲯᲘ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა ამერიკავკასიის მაგისტრალის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის კოლექტივს.

განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა განვლილი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, როდესაც რკინიგზელმა მშენებლებმა ააგეს და გრაფიკის გასწრებით გადასცეს საექსპლოატაციოდ თბილისის, ხაშურის, გურჯაანის სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები, ააგეს შორაპან-ზესტაფონის, გომი-ქარელის უბნებზე მეორე ლიანდაგი, ააშენეს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა შექანიზებული საწარმოები ბათუმში, ქუთაისსა და თელავში. ამასთან დაზოგეს 1,7-ჯერ მეტი ცემენტი, ლითონი და ელექტროენერგია, ვიდრე სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ

„ᲡᲐᲥᲔᲚᲘᲫᲒᲠᲝᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხნის პროდუქცია მოსწონს მომხმარებელს. იგი იგზავნება ქვეყნის ყველა რეგიონში, აგრეთვე კანადაში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საგრაგნილე საამქროს ოსტატი მ. ბიბილური და ამწყობი მ. ბერაძე გამოშვებული პროდუქციის ხარისხს ამოწმებენ.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ — ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ

ᲡᲙᲙᲞ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში გათვალისწინებული გრანდიოზული სტრატეგიული ამოცანების პრაქტიკული განხორციელება ხალხის შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდაზეა დამოკიდებული. „პარტია — აღნიშნულია პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, — დასახული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას უკავშირებს ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებას“, ამიტომ დღეს ადამიანის სოციალური აქტიურობის აღმძვრელი და წარმმართველი ფაქტორების სწორად გაგებას და მის პრაქტიკულად გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით ადამიანთა სოციალურ აქტიურობას ყოველთვის რაიმე მატერიალური ან სულიერი მოთხოვნილებები და შესაბამისი ინტერესები აღძრავს, ხოლო მიმართულებას გარემო პირობები და სიტუაცია აძლევს. „ხალხთა მოთხოვნილებები — წერს მარქსი,— თვით არიან პირადად მათი დაკმაყოფილების უკანასკნელი მიზეზები“.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ საერთოდ სიცოცხლისათვის დამახასიათებელი მოძრაობის განსაკუთრებული ფორმაა. ადამიანური მოთხოვნილება კი მოძრაობის უმაღლესი ფორმაა. „იმ მოთხოვნილებათა წარმოშობა კი, — წერენ მარქსი და ენგელსი, — ისევე როგორც მათი დაკმაყოფილება, თვით არის ისტორიული პროცესი“.

ადამიანის მოთხოვნილება რთული სოციალური მოვლენაა. იგი წარმოიშობა გარემოსთან ურთიერთობაში, ადამიანისათვის სპეციფიკური სიცოცხლის წარმოებისა და აღწარმოების პროცესში, პიროვნების მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სიცოცხლის რიტმის, წონასწორობის დარღვევის შედეგად, რაც სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში მიმდინარე მუდმივი ცვლილებების გამო სისტემატურად ირღვევა და აღდგენას საჭიროებს. **მოთხოვნილება ამ საჭიროების ასახვაა, განცდაა, ხოლო აქტიურობა, მოქმედება — მისი დაკმაყოფილების და წონასწორობის აღდგენის საშუალება.**

მართალია, ადამიანი მოქმედების საზღვრებად პერიოდულად აღადგენს წონასწორობას, მაგრამ იგი, ენგელსის თქმით, როგორც საერთოდ „ყოველგვარი წონასწორობა მხოლოდ შეფარდებითი და დროებითია“. ასევე შეფარდებითი და დროებითია მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც.

ყოველი ახალი მოთხოვნილების წარმოშობა მოძრაობის რთული პროცესია. იგი ადამიანში შესაბამის ფსიქოფიზიოლოგიურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. მართალია, ადამიანი ყოველი ახალი მოთხოვნილების წარმოშობისა და დაკმაყოფილების მოქმედების შედეგად თვისებრივად იცვლება და, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიცოცხლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის არსება ყოველ წუთს იგივეცაა და მაინც სხვაც“, მაგრამ ამ ცვლილებას ჩვენ მრავალი მიზეზების გამო ყოველთვის თვალსაჩინოდ ვერ ავსახავთ. ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფრო რთული მოთხოვნილებების წარმოშობისა და დაკმაყოფილების პროცესში, როდესაც ერთდროულად საქმე გვაქვს ნებისმიერი მოქმედების ორ პლანთან — იდეალურ და პრაქტიკულ მოქმედებასთან.

ადამიანის მოთხოვნილება ერთდროულად ფიზიოლოგიური პროცესიცაა და მისი შესატყვისი ფსიქიკური განცდაც. როგორც ცნობილია, ყოველი საგნის, მოვლენის აღქმას თან ახლავს შესატყვისი ფიზიოლოგიური და ფსიქიკური პროცესები. მაგრამ მოთხოვნილება ჩვეულებრივი საგნის აღქმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი გარეთ არსებული რაიმე საგნის აღქმა კი არა, არამედ თვით სუბიექტში წარმოშობილი რაღაც საჭიროების ფსიქოფიზიკურად მოცემული რეალობაა, სუბიექტისათვის ჩვეული სიცოცხლის რიტმის, წონასწორობის დარღვევის მდგომარეობაა, რომლის აღდგენისათვის აუცილებელია შესატყვისი საგანი და გარკვეული მოქმედება. ეს **აუცილებლობა** საფუძვლად ედება სუბიექტის შესაბამის აქტიურობას, მოქმედებას.

მოთხოვნილება იმთავითვე გაორებულია და დაპირისპირებულთა დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. მასში ერთის მხრივ ასახულია სუბიექტის წონასწორობის დარღვევის მდგომარეობა, მეორეს მხრივ მისი აღდგენის საგანი. მათი წინააღმდეგობა და მისი დაძლევის **აუცილებლობა** მოთხოვნილებას აქტივობის წყაროდ აქცევს. ეს წინააღმდეგობა იხსნება და შემდგომ ვითარდება მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, რაც თავის მხრივ ახალ წინააღმდეგობას და მოთხოვნილებას წარმოშობს და ა. შ.

გრძნობის ორგანოებისა და აზროვნების საშუალებით საგნებისა და მოვლენების შესახებ სხვადასხვა დროს წარმოშობილი შინაარსი ადამიანის ცნობიერებაში განვითარების ოთხ სტადიას გაივლის, რომლის შესაბამისად ყალიბდება **ცოდნა, რწმენა, თეორიული და პრაქტიკული** მოთხოვნილებები, მათ შორის: **ცოდნა** ნეიტრალური შინაარსია; **რწმენა** დამოკიდებულებაა ცოდნაში მოცემული შინაარსის ნამდვილობის ან განხორციელების აუცილებლობის მიმართ; **თეორიული მოთხოვნილება** შეცნობილ საგნებსა და მოვლენებში რაიმე საჭიროების თეორიული ასახვა და განცდაა; ხოლო **პრაქტიკული მოთხოვნილება** ამასთან ერთად მისი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მოქმედების შინაგანი მზაობაცაა.

უმთხოვნილებოდ არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია აქტიურ მატერიალურ ძალად იქცეს. პიროვნება, კოლექტივი, კლასი გარკვეული მოქმედების

ინტერპოლიტიკა
ფაქტები • მოვლენები

იმედის სხივი

საკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებული კონკრეტული გეგმა, რომელიც უახლოეს თხუთმეტ წელიწადში ბირთვული და ქიმიური იარაღის სრულ ლიკვიდაციას ითვალისწინებს, კვლავ პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნის, ყველა მმართველების პოლიტიკოსებისა და პრესის, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებით შესწავლის, ანალიზის, კომენტარის საგანია. რა თქმა უნდა, ყველა არა, მაგრამ ბევრი უკვე ჩასწვდა საბჭოთა ეგზმის სიღრმეს, მის მშვიდობისმოყვარულ არსს, მკაფიო, გასაგებ და შორს გამიზნულ საბჭოთა ინიციატივებში დაინახა მშვიდობიანი მომავლის იმედის სხივი.

● ნიკარაგუა

პრეზიდენტი აღასტურებს

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დ. ორტეგამ დაადასტურა მისი მთავრობის მისწრაფება მოაწესრიგოს მეზობელ კოსტა-რიკასთან ურთიერთობა, რომელიც გამწვავდა ორი ქვეყნის საზღვარზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულთა სისტემატური პროვოკაციების გამო.

კოსტა-რიკის ახალარჩეული პრეზიდენტის ოსკარ არიას სანჩესისადმი გაგზავნილ წერილში მან გამოთქვა იმედი, რომ ახალი ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს ცენტრალურ ამერიკაში ვითარების მშვიდობიან მოწესრიგებას.

ნიკარაგუის მთავრობას მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ კოსტა-რიკასთან ურთიერთობაში დაძაბულობის ერთადერთი მიზეზია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის ჯაშუშური უწყების სამსახურში მყოფი დაქირავებული მკვლელების ყოფნა.

● კოსტა-რიკა

არჩევნების შედეგები

სან-ხოსე. კვირას გამართული საყოველთაო არჩევნების შედეგად კოსტა-რიკის პრეზიდენტად აირჩიეს მმართველი ეროვნული განთავისუფლების პარტიის კანდიდატი ოსკარ არიას სანჩესი. **წინასწარი მონაცემებით, მან მიიღო 54 პროცენტამდე ხმა.**

რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდა აირჩიეს ორი ვიცე-პრეზიდენტი, საკანონმდებლო კრების (ერთპალატიანი პარლამენტის) 57-ვე დეპუტატი და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ არჩევნები გიმპრთა დაძაბულობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია ვაშინგტონის მზარდმა ზემოქმედებამ ჩაითრიოს კოსტა-რიკა მეზობელი ნიკარაგუის წინააღმდეგ. თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებაში.

ფოტოფაქტი

სურათებზე: ნანგარჰარის პროვინციის ტომებისა და ეროვნებების საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე მუჰამედ ამინი ესაუბრება აფრიდის ტომის წარმომადგენლებს, რომლებიც დახმარების სათხოვნელად ავღანეთში ჩავიდნენ ჰაიბერის რაიონიდან; ამერიკული და ჩინური წარმოების იარაღი, რომელიც ავღანეთის შეიარაღებულმა ძალებმა დუშმანებს ჩამოართვეს.



ᲒᲓᲠ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. საბჭოთა ხელმძღვანელმა გამოაცხადა ბირთვული განიარაღების გაბედული და რადიკალური პროგრამა, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა. მოსკოვის ინიციატივები მოწმობს, რაოდენ მტკიცედ ესწრაფვის საბჭოთა კავშირი ევროპის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგად შექმნილი სასიკეთო სიტუაცია გამოიყენოს კაცობრიობისათვის საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად. სსრ კავშირმა მშვიდობის საერთაშორისო წელი დაიწყო მძლავრი სამშვიდობო შეტევით, რათა უზრუნველყოს ყველა ხალხის ბედნიერება, უომოდ ცხოვრება.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. უნგრეთის მშვიდობისათვის მოძრაობა მიესალმება მშვიდობისა და განიარაღებისათვის საბჭოთა კავშირის მოქმედების ახალ დიდი მასშტაბის პროგრამას, ხაზგასმულია სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში. ამ პროგრამის განხორციელება შეესაბამება უნგრელი ხალხის ძირეულ ინტერესებს და ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის სრულ მხარდაჭერას პოულობს. ამას მოწმობს საბჭოთა ინიციატივების მხარდამჭერი უამრავი წერილი, რომლებსაც სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს უგზავნიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მრომითი კოლექტივები. ყველა მთავრობამ და პოლიტიკურმა პარტიამ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რათა გამოიყენონ საბჭოთა პროგრამით შექმნილი შესაძლებლობანი. ამავე დროს დიდ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ შეერთებულ შტატებში, რომ-

ᲒᲠᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. საბჭოთა ინიციატივებმა მოწმობს, რაოდენ მტკიცედ ესწრაფვის საბჭოთა კავშირი ევროპის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგად შექმნილი სასიკეთო სიტუაცია გამოიყენოს კაცობრიობისათვის საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად. სსრ კავშირმა მშვიდობის საერთაშორისო წელი დაიწყო მძლავრი სამშვიდობო შეტევით, რათა უზრუნველყოს ყველა ხალხის ბედნიერება, უომოდ ცხოვრება.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ. უნგრეთის მშვიდობისათვის მოძრაობა მიესალმება მშვიდობისა და განიარაღებისათვის საბჭოთა კავშირის მოქმედების ახალ დიდი მასშტაბის პროგრამას, ხაზგასმულია სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში. ამ პროგრამის განხორციელება შეესაბამება უნგრელი ხალხის ძირეულ ინტერესებს და ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის სრულ მხარდაჭერას პოულობს. ამას მოწმობს საბჭოთა ინიციატივების მხარდამჭერი უამრავი წერილი, რომლებსაც სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს უგზავნიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მრომითი კოლექტივები. ყველა მთავრობამ და პოლიტიკურმა პარტიამ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რათა გამოიყენონ საბჭოთა პროგრამით შექმნილი შესაძლებლობანი. ამავე დროს დიდ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ შეერთებულ შტატებში, რო-

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ. მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის საბჭოთა პროგრამა შეესაბამება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მისწრაფებებს სერიოზულად რომ არის შეშფოთებული დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკის ბირთვული არსენალების გადადებით, განაცხადა გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოტფიმ. ახალმა ყოველსმომცველმა სამშვ ი დ ო ბ ო პროგრამამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშვიდობის მომხრეთა მორიგობის დადებითი გამოხმაურება გამოიწვია და იგი მიიჩნიათ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული კურსის, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელებისადმი მისი გულწრფელი სწრაფვის დადასტურად.

ᲐᲨᲨ

სან-ფრანცისკო. რა თქმა უნდა, შორს გამიზნული საბჭოთა სამშვიდობო წინადადებანი თვალში არ მოსდით გარკვეულ წრეებს შეერთებულ შტატებში, რომლებიც დაინტერესებული არიან გამალებული შეიარაღებით, წერს „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ ფურცლებზე ცნობილი ამერიკელი მწერალი ტ. პაუერი. რასაკვირველია, ისინი ეცდებიან დაბრკოლებები აღმართონ სსრ კავშირთან შეთანხმებების შემუშავების გზაზე. მაგრამ ამ დაბრკოლებების გადალახვა შეიძლება. ახალ საბჭოთა წინადადებებს უბრალოდ გვერდს ვერ ავუვლი. ისინი ყურადღებით შესწავლისა და კონსტრუქციული პასუხის ღირსი არიან. ეს კარგი გეგმაა, რომელიც სახავს სერიოზული მოლაპარაკების გზას.

დაქირავებულთა თარეში

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ისრაელი ოკუპანტები 3 თებერვალს შეეჭრნენ სამხრეთ ლიბანის მთელ რიგ სოფლებში და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლი დუშინეს საცხოვრებელ სახლებსა და ლიბანის არმიის საგუშაგოებს. მათ ბარბაროსულად არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქფარ-რუმანის დასახლებულ პუნქტს. შემდეგ იქ შეიჭრნენ ეკრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ დაქირავებულები და მასობრივი ჩხრეკა მოაწყვეს. ლიბანის პრესამ არაერთგზის აღნიშნა, რომ ისრაელის ეს დამქაშები „დაქირავებული მკვლელებისა და მძარცველების ბანდაა“.

ისრაელი ოკუპანტები დასავლეთ ბექაას მიმართულებით კვლავ გზავნიან დამატებით სამხედრო ძვეგანაყოფებს. ამ რაიონებში ახლახან გამოჩნდა „მერკავასა“ და „ცენტურიონის“ ტიპის დაახლოებით 40 ტანკი, აგრეთვე 25 ჯავშანტრანსპორტიორი და სხვა სამხედრო ტექნიკა.

მოითხოვეს დუშმანთა განდევნა

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. პაკისტანის ტერიტორიაზე მოკალათებულ ავღანეთის კონტრრევოლუციონერთა დანაშაულობანი სასაზღვრო რაიონებში მცხოვრებ პუშტუნთა და ბელუჯთა ტომების გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. როგორც ბახთარის სააგენტო იტყობინება, მას შემდეგ, რაც პაშინის რაიონში (პაკისტანის ბელუჯისტანი) ავღანელმა დუშმანებმა მოკლეს ბელუჯთა ტარინის ტომის წევრი, ადგილობრივმა მოსახლეობამ მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო. დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს ტომების საცხოვრებელი ტერიტორიიდან დუშმანთა ბანდების დაუყოვნებლივ განდევნა. ამ მანიფესტაციამ, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან ავტოტრანსპორტის მოძრაობა პაშინის რაიონში.

ქურამის რაიონში, იტყობინება ბახთარი, გაიმართა თური ვაზირის ტომის ზოგიერთ კლანთა ჯირგები, რომლებზეც მიღებულ რეზოლუციებში სოლიდარობას უცხადებენ პუშტუნთა აფრიდისა და შინვარის ტომების ბრძოლას და მოითხოვენ შეწყდეს პაკისტანის მხედრიონის აგრესია ჰაიბერის კლდეკარის რაიონში.

პუშტუნების წინააღმდეგ ისლამაბადის რეპრესიები გულისწყრომით დაგმო ავღანეთის მშრომელ ხაზარელთა ცენტრალურმა საბჭომ, რომლის სხდომა გაიმართა ქაბულში. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში სხდომის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს აფრიდისა და შინვარის ტომების ბრძოლას, რომლებიც თავიანთ ტრადიციულ უფლებებს იცავენ, და დაგმეს იმპერიალიზმისა და რეაქციის დანაშაულებრივი ზრახვები სასაზღვრო რაიონებში მცხოვრებ პუშტუნთა ტომებისა და ავღანელი ხალხის მიმართ, მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყდეს პაკისტანის ჩარევა ავღანეთის საქმეებში და გაიყვანონ ჯარები ჰაიბერის რაიონიდან.

ᲒᲐᲜᲒᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲚᲬᲠᲓᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, კ. მარქსი ანსხვავებს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს თეორიული მოთხოვნილებებისაგან. ეს უკანასკნელნი წარმოშობიან გარემოს საგნებისა და მოვლენების ზემოქმედებით ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. როდესაც საკითხი ეხება გონივრულ და არაგონივრულ მოთხოვნილებებს, იგი პირველ რიგში და არსებითად გულისხმობს პრაქტიკული მოთხოვილებების შეფასებას, რომელთა დაკმაყოფილებაც ადამიანის ნებისმიერი მოქმედებაა. ჩვენი აზრით, **გონივრულია პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება მოცემულ სიტუაციაში ობიექტურად აუცილებელია და შესაძლებელი, ხოლო დაკმაყოფილების მოქმედება შეესაბამება პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს, ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ სრულყოფასა და საზოგადოების პროგრესს.**

გონივრული მოთხოვნილებები ყალიბდება და ინერგება ყოფასა და ცნობიერებაში სოციალისტური საზოგადოებრივი თანაცხოვრების ყველა უბანზე: ოჯახში, სკოლაში, შრომით კოლექტივში, მატერიალური და სულიერი წარმოების ყველა სფეროში.

გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ თითოეული ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, მისი წილი საზოგადოების მიერ შექმნილ მატერიალურ და მორალურ, სულიერ ფასეულობათა განაწილებაში ყოველთვის სამართლიანად განისაზღვროს პირადად მის მიერ გაწეული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით და პირადი დამსახურების შესაბამისად. ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა მეჩვიოს საკუთარი მოთხოვნილებების რეგულირებას განაწილების სოციალისტური პრინციპის მიხედვით.

მოთხოვნილებები პირველ რიგში ოჯახის საშუალებით ბავშვობიდანვე ყალიბდება. თუ ოჯახში მოხმარების საგნების გადაჭარბებული სიუხვეა, ბავშვებს ზომაზე მეტად მდიდრულად აცმევენ და რთავენ ძვირფასი სამკაულებით, აცხოვრებენ ხელგაშლილად და მეტისმეტ ფუფუნებაში, ყოველივე ეს მათში შესტაყვის მოთხოვნილებებს წარმოშობს. აღნიშნულ გარემოში აღზრდილი ბავშვი როდესაც საზოგადოებაში დამოუკიდებლად გამოვა, თუ მისი უზომოდ გაზრდილი მოთხოვნილებები თავისი შრომითი შემოსავლით ვერ დაიკმაყოფილა, იგი ან საზოგადოების უკმაყოფილო ელემენტი ხდება, ან არაშრომითი შემოსავლით — დანაშაულებრივი გზით შეეცდება მოთხოვილებების დაკმაყოფილებას. ეს გარემოება წინ ეღობება გონივრული პრაქტიკული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს კერძომესაკუთრული ტენდენციების გაღვივებას.

მოთხოვნილებებს, როგორც ცნობილია, შესაბამისი საგნები წარმოშობენ და ისინი პირველად გონებაში თეორიულად აისახებიან. თეორიული მოთხოვნილებების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაში თავისთავად არაგონივრული არაფერია. პირიქით, კ. მარქსი მათ სიმდიდრეში მომავალი კომუნისტური საზოგადოების ღირსებებს ხედავდა, ხოლო ვ. ი. ლენინს სოციალიზმის ერთერთ მიღწევად მიაჩნდა ის, რომ ახალ პირობებში ადამიანებს გაუჩნდებათ უკეთ ცხოვრების მრავალი ახალი მოთხოვნილებები, და „სწორედ ესაა სოციალიზმი, როდესაც თითოეულს სურს გაიუმჯობესოს მდგომარეობა, როდესაც ყველას უნდა ისარგებლოს ცხოვრების სიკეთით“. მაგრამ, ამასთან, მოითხოვდა მტკიცე კონტროლს შრომის ზომასა და მოხმარების ზომაზე, რათა ისინი დაკმაყოფილების პრაქტიკულ მოთხოვნილებად იქცნენ მხოლოდ სოციალიზმის პრინციპის შესაბამისად. მაშასადამე, **გონივრულობის კრიტერიუმი ეხება არა საერთო მოთხოვნილებებს, მის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, რომელიც შესაბამისი გარემოსა და საგნების ზემოქმედებით პირველად თეორიულად აისახებიან ადამიანის ცნობიერებაში, არამედ მოტივაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებულ პრაქტიკულ მოთხოვნილებებს.**

როგორც სკკპ პროგრამის პროექტშია აღნიშნული, პარტია ისეთი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს, „რომლებიც სახავენ საზოგადოებისა და პიროვნების გონივრული მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობას“. ჩვენი აზრით, **აქ პიროვნების გონივრულ მოთხოვნილებებში იგულისხმება სწორედ ის პრაქტიკული მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება საზოგადოების საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე, ყოველ კონკრეტულ პირობებში აუცილებელია და შესაძლებელიც, მათი დაკმაყოფილების მოქმედება შეესაბამება პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს, ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ სრულყოფასა და საზოგადოების პროგრესს.**

სკკპ პროგრამის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კომუნისტური იდეალების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამაა. მისი განხორციელება მასების მიზანმიმართულ აქტიურობაზე, პრაქტიკულ მოქმედებაზეა დამოკიდებული, რაშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება შესაბამისი გონივრული პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას, პარტიის მიერ დასახული ამოცანების ცოდნას, რწმენად და მოქმედებად გადაქცევას.

დ. კიკნაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ კანონია და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს. ეს მთელი პრინციპულობით ითქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის მორიგ სხდომაზე, რომლის მონაწილეებმაც იმსჯელეს მიწის კანონმდებლობის დასაცავად წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.

რაიონის აღმასკომის, აგროსამრეწველო გაერთიანების, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში ბევრი არსებითი ნაკლი გამოვლინდა.

კომისიამ არასაკმარისად ცნო მუშაობა, რომელიც წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომმა გასწია მიწის კანონმდებლობის დასაცავად, და ურჩია მას მკაცრად დაიცვას საქართველოს სსრ მიწის კანონის მოთხოვნები, გააძლიეროს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების, მათი აღმასკომების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პასუხისმგებლობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი ლანჩხუთის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დასანერგად გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიამ აღნიშნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში მიღწეული გარკვეული წარმატებები და ამასთანავე ურჩია რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, რაიონული და სასოფლო საბჭოებს აღმასკომებსა და სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებს, აგრეთვე რესპუბლიკის სახაგრომრეწველო და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებას ყოველმხრივ სრულყონ მუშობა წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განსამტკიცებლად.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ ლ. ლ. ზაქაიძემ.

ᲒᲐᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲣᲙᲣᲒᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ გააკრიტიკეს „საქმთავარწყალშენი“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა სამელიორაციო მშენებლობის გეგმების შესასრულებლად გაწეული მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარეობს.

კერძოდ, ამ სამმართველოს არ შეუსრულებია მთელ რიგ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი, რაც ართულებს მათ ექსპლოატაციას, ამცირებს უკუგებას.

მიღებულ დადგენილებაში კომისიამ „საქმთავარწყალშენს“ ურჩია განაზორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი და დაუყოვნებლივ აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ გ. ე. ჩიგოგოძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი.

(საქინფორმი).

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲝᲑᲐ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ თავიანთი აქტივობით, პრაქტიკული საქმიანობით ავითარებენ საზოგადოებას და ცესში წინასწარ თეორიულად შესრულებული მოქმედება სინამდვილეში პრაქტიკულად არაა უზრუნველყოფილი შესაბამისი ობიექტური ფაქტორებით, მაშინ პრაქტიკულად ქცეული მოთხოვნილება არ განხორციელდება. სწორედ აქედან წარმოდგება თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის აუცილებლობა, რაც იდეოლოგიური მუშაობის წარმატების გადამწყვეტი პირობაა.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ აუცილებლობიდან მივდივართ აუცილებლობისაკენ. ყოველ ეტაპს თავისი აუცილებლობა უდევს საფუძვლად. თვით რაიმეს შესწავლა თუ გარკვეულ აუცილებლობად არ იქცა, მას არავინ არ შეისწავლის. „აზროვნებას ადამიანი იწყებს მაშინ, — წერს ს. ლ. რუბინშტეინი, — როდესაც მას რაიმეს გაგების მოთხოვნილება გაუჩნდება“.

ჩვენ თვალსაჩინოებისათვის სქემატურად შევეხეთ თეორიების, საერთო საზოგადოებრივი ამოცანების მასებისათვის გაცნობის და მათ მატერიალურ ძალად გადაქცევის ოთხ ეტაპს, სტადიას. მაგრამ თითოეულ მათგანს, თავის მხრივ, აგრეთვე საკუთარ განვითარების გარკვეული ეტაპები აქვს, სადაც მოტივაციის პროცესი ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის აუცილებელი კომპონენტია.

მოტივაციის პროცესთან უშუალო კავშირშია აგრეთვე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისა და ნებისყოფის, თავისუფლების საკითხი. როგორც ცნობილია, ნებისყოფის თავისუფლება ნიშნავს საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღებას, რაც შემდგომ აუცილებლობის სახით პრაქტიკულად ხორციელდება. **თუ აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილება საქმის ცოდნით არ არის მიღებული, ე. ი. მოქმედების მოტივაციის პროცესში ამ მოქმედების პრაქტიკული განხორციელების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები თავიდანვე სწორად და სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული, ან შემდგომ შეიცვალა, ასეთი გადაწყვეტილება ბოლომდე არ სრულდება. იგი იცვლება, სხვა, უფრო რეალური გადაწყვეტილებით, ან საერთოდ შეუსრულებელი რჩება. სწორედ ამის შედეგია ადამიანთა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუსრულებელი გადაწყვეტილებები.**

ამრიგად, მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების მთავარი პირობაა მოტივაციის პროცესის საქმის ცოდნით და სრულყოფილად იმგვარად განხორციელება, რომ გადაწყვეტილების ხორციშესხმის რეალურად არსებული ყველა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი წინასწარ გონებაში მოტივაციის პროცესში ზუსტად იყოს განსაზღვრული, რაც თავის მხრივ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის შესაბამის კომპეტენტურობას მოითხოვს.

ზემოაღნიშნული ოთხი ეტაპი ახალი იდეის, თეორიის, ამოცანის განხორციელებას ეხება, რომელსაც სუბიექტი პირველად ეცნობა, მაგრამ თუ ამოცანა უკვე ცნობილია და მისი განხორციელების აუცილებლობის და შესაძლებლობის რწმენაც ჩამოყალიბებულია, მაშინ ბოლო ორი ეტაპის განხორციელებაა საჭირო. მაგრამ თუ ჩვენი აუდიტორია მესამე ეტაპის დონეზე იმყოფება, ესე იგი უკვე თეორიული მოთხოვნილებაც ჩამოყალიბებული აქვს, მაშინ მხოლოდ მეოთხე ეტაპის, ესე იგი მოტივაციის პროცესის განხორციელებაა საჭირო, რომელიც სუბიექტში აყალიბებს შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების განხორციელების აუცილებლობისა და შესაძლებლობის რწმენას და თეორიულ მოთხოვნილებებს აქცევს პრაქტიკულ მოთხოვნილებებად.

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲝᲑᲐ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ თავიანთი აქტივობით, პრაქტიკული საქმიანობით ავითარებენ საზოგადოებას და

ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲚᲬᲠᲓᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, კ. მარქსი ანსხვავებს პრაქტიკულ მოთხოვნილებებს თეორიული მოთხოვნილებებისაგან. ეს უკანასკნელნი წარმოშობიან გარემოს საგნებისა და მოვლენების ზემოქმედებით ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. როდესაც საკითხი ეხება გონივრულ და არაგონივრულ მოთხოვნილებებს, იგი პირველ რიგში და არსებითად გულისხმობს პრაქტიკული მოთხოვილებების შეფასებას, რომელთა დაკმაყოფილებაც ადამიანის ნებისმიერი მოქმედებაა. ჩვენი აზრით, **გონივრულია პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება მოცემულ სიტუაციაში ობიექტურად აუცილებელია და შესაძლებელი, ხოლო დაკმაყოფილების მოქმედება შეესაბამება პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს, ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ სრულყოფასა და საზოგადოების პროგრესს.**

გონივრული მოთხოვნილებები ყალიბდება და ინერგება ყოფასა და ცნობიერებაში სოციალისტური საზოგადოებრივი თანაცხოვრების ყველა უბანზე: ოჯახში, სკოლაში, შრომით კოლექტივში, მატერიალური და სულიერი წარმოების ყველა სფეროში.

გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ თითოეული ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, მისი წილი საზოგადოების მიერ შექმნილ მატერიალურ და მორალურ, სულიერ ფასეულობათა განაწილებაში ყოველთვის სამართლიანად განისაზღვროს პირადად მის მიერ გაწეული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით და პირადი დამსახურების შესაბამისად. ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა მეჩვიოს საკუთარი მოთხოვნილებების რეგულირებას განაწილების სოციალისტური პრინციპის მიხედვით.

მოთხოვნილებები პირველ რიგში ოჯახის საშუალებით ბავშვობიდანვე ყალიბდება. თუ ოჯახში მოხმარების საგნების გადაჭარბებული სიუხვეა, ბავშვებს ზომაზე მეტად მდიდრულად აცმევენ და რთავენ ძვირფასი სამკაულებით, აცხოვრებენ ხელგაშლილად და მეტისმეტ ფუფუნებაში, ყოველივე ეს მათში შესტაყვის მოთხოვნილებებს წარმოშობს. აღნიშნულ გარემოში აღზრდილი ბავშვი როდესაც საზოგადოებაში დამოუკიდებლად გამოვა, თუ მისი უზომოდ გაზრდილი მოთხოვნილებები თავისი შრომითი შემოსავლით ვერ დაიკმაყოფილა, იგი ან საზოგადოების უკმაყოფილო ელემენტი ხდება, ან არაშრომითი შემოსავლით — დანაშაულებრივი გზით შეეცდება მოთხოვილებების დაკმაყოფილებას. ეს გარემოება წინ ეღობება გონივრული პრაქტიკული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს კერძომესაკუთრული ტენდენციების გაღვივებას.

მოთხოვნილებებს, როგორც ცნობილია, შესაბამისი საგნები წარმოშობენ და ისინი პირველად გონებაში თეორიულად აისახებიან. თეორიული მოთხოვნილებების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაში თავისთავად არაგონივრული არაფერია. პირიქით, კ. მარქსი მათ სიმდიდრეში მომავალი კომუნისტური საზოგადოების ღირსებებს ხედავდა, ხოლო ვ. ი. ლენინს სოციალიზმის ერთერთ მიღწევად მიაჩნდა ის, რომ ახალ პირობებში ადამიანებს გაუჩნდებათ უკეთ ცხოვრების მრავალი ახალი მოთხოვნილებები, და „სწორედ ესაა სოციალიზმი, როდესაც თითოეულს სურს გაიუმჯობესოს მდგომარეობა, როდესაც ყველას უნდა ისარგებლოს ცხოვრების სიკეთით“. მაგრამ, ამასთან, მოითხოვდა მტკი

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲒᲖᲐᲚᲘ ᲛᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მეორე უდიდეს ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრს — ქალაქ ქუთაისს დღემდე არა აქვს რკინიგზის ვაგზალი თანამედროვე შენობა. საუკუნეზე მეტი ხნის წინათ აგებული ვიწრო და ბნელი ნაგებობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ქუთათურთა და მათ მრავალრიცხოვან სტუმართა გაზრდილ მოთხოვნებს.

ეს გარემობა გაითვალისწინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც სათანადო ღონისძიებანი დასახეს ქუთაისში რკინიგზის ვაგზლის უმოკლეს ვადებში აგებისათვის. რესპუბლიკის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გამოიყო საჭირო თანხა, ხოლო კავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო-საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალს დაეკალა მოემზადებინა ვაგზლის მშენებლობის პროექტი.

— ჩვენ დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ ქუთაისში და გულდასმით შევისწავლეთ ქალაქის ადგილმდებარეობა, ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის ოდენობა, ვესაუბრეთ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკებს, საავტომობილო ქარხნის, სალოკომოტივო დეპოს, პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვა უწყება-დაწესებულებათა თავკაცებს და მათი ნათქვამის გათვალისწინებით შევეცადეთ შეგვედგინა ისეთი პროექტი, რომლის ხორცშესხმაც ქუთაისს კიდევ ერთ თანამედროვე და ღირსშესანიშნავ ნაგებობას შემატებს, — გვითხრა ვაგზლის პროექტის მთავარმა ინჟინერმა შოთა იმნაძემ.

— ჩვენ მიერ შედგენილმა პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო,— განაგრძო საუბარი პროექტის ავტორმა, არქიტექტორმა გაიოზ ჭანიშვილმა, — ახალი ვაგზლის მარგი ფართობი თითქმის ორჯერ აღემატება ძველს. გარდა ამისა, მას ექნება ტვირთისა და ხელბარგის გადასაზიდი, ბილეთებისა და სამგზავრო დოკუმენტების უსწრაფესად გასაფორმებელი მანქანა-დანადგარები, საცნობარო, მგზავრთა მოსაცდელი და სხვა ნაგებობანი, რომლებიც ყველა პირობას შექმნიან მგზავრთა დიდი ნაკადის შეუფერხებლად გატარებისა და მათი გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისათვის.

პროექტის განსახორციელებლად თავდადებით შრომობენ აშიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებმაც ძირითადად დაამთავრეს საძირკვლის ჩაყრის, კედლების ამოყვანისა და რკინაბეტონის სამუშაოები. მშენებლებმა გრაფიკის გასწრებით შეასრულეს მომავალი ვაგზლის ყველაზე დიდი ობიექტის — მგზავრთა მოსაცდელი დარბაზის კედლების შელესვისა და იატაკის მოპირკეთების სამუშაოები. ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საბილეთო სალაროების, დედათა და ბავშვთა დასასვენებელი ოთახების, მედუნქტის, სასტუმროს, ფოსტა-ტელეგრაფის, ჟურნალ-გაზეთების გასაყიდი კიოსკების და სხვა დამხმარე განყოფილებების ნაგებობათა მწყობრში ჩაყენების სამუშაოები.

— ჩვენთან ბევრი მოწონავეა,— გვითხრა ტრესტის უფროსმა გიორგი ხაზარაძემ, — მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის თავკაცი რომან კორძაია, რომელმაც აქ პირველმა დაიწყო იჯარით მუშაობა და მიკროკოლექტივის ყველა წევრი მტკიცედ დარაზმა ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის. კარგ შედეგებსაც მიაღწია: ბრიგადამ 40 დღით გაუსწრო ჩვეულებრივ კალენდარს და ყველა ობიექტი „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით ჩაბარა მიმღებ კომისიას. თავი ისახელეს აგრეთვე მურთაზ რცხილაძის, გენადი თხელიშვილის, ვაჟა პატარაიასა და სხვა ვეტერანი მშენებლების ბრიგადებმა. ისინი ყველაფერს ღონეზენ იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები.

Ო. სამხარაძე.

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ



„ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ იერიში“ — ასე ეწოდება მეცნიერებაში იმ მეთოდს, რომლის დახმარებითაც ეჩქარებულად წყდება რთული საწარმოო და სოციალური პრობლემები. აქ საჭიროა არა მარტო გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია, არამედ ღრმა მრავალმხრივი ცოდნაც, ანალიზური აზროვნება, მეცნიერული განჭვრეტა.

სწორედ ეს მეთოდი გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც იხილავენ ახალგაზრდა მეცნიერები და სპეციალისტები ბაკურიანის ტრადიციულ შეხვედრაზე.

— ახლანდელი შეხვედრა საიუბილეოა, — თქვა თამბირ-სემინარის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, რესპუბლიკის აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ. — მეთორმეტეჯერ იკრიბებიან აქ ახალგაზრდა მეცნიერები. პირველი შეხვედრის მონაწილენი უკვე ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები არიან. მაგრამ დღეს განსაკუთრებით გაიზარდა ახალგაზრდობის პასუხისმგებლობა მეცნიერების ბედისათვის, რომელიც მოწოდებულია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერებს. განსაკუთრებით პოპულარული გახდნენ საწარმოების ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივები. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ასეთმა კოლექტივმა მოკლე ხანში დანერგა 40 რობოტ-მანიპულატორი, რომელთა მეოხებით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 100 ათას მანეთს გადააჭარბა. კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მრავალფეროვანია თამბირ-სემინარის პროგრამა. შვიდი დღიდან თითოეული ეძღვნება ცალკეულ მეცნიერულ პრობლემას. აქ გაიმართება დისკუსიები რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალის გააქტიურების, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების სახალხო მეურნეობის“ უზრუნველყოფის, სკოლის რეფორმის წარმატებულ განხორციელებასა და სხვა საკითხებზე. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-98-03, 99-03-09, ᲙᲐᲛᲓᲒᲘᲜᲘᲡ — 99-78-80, ᲡᲐᲛᲓᲒᲘᲜᲘᲡ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 98-95-20, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 98-20-84, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 98-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 98-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 98-22-98, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 98-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 98-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ — 290-68-47; ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-08-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲨᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲧᲝᲚᲐᲤᲨᲘᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲫᲣᲘᲑᲣᲚᲘ — 25-82.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲫᲔᲜᲘ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ და ესთეტიკის იდეალისტური, ფსიქოანალიტიკური თეორიის მატერიალური კრიტიკის მორიგ მიღწევად უნდა ვაღიაროთ აკადემიკოს გ. ჯიბლაძის მონოგრაფია „ფროიდის ფსიქოანალიტიკური ესთეტიკის კრიტიკისათვის“, რომელიც ახლახან გამოსცა „ხელოვნებამ“, (თბილისი, 1985 წ.).

სოციალისტური იდეოლოგიის ბრძოლამ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ განსაზღვრა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებში განსხვავების არსებობა ადამიანის შესახებ მეცნიერებების განვითარების მიმართულებებს შორის. ამ განსხვავებამ განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი, როდესაც დადგა საკითხი არაცნობიერის პრობლემის შესახებ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ პრობლემის შესწავლა წარმოდა ფროიდის სკოლის დიდი ზეგავლენით. ჩვეულებრივად ფროიდის დამსახურებად ითვლება, რომ მან პირველმა დააყენა მწვავედ საკითხი არაცნობიერი ფსიქიკურის როლის შესახებ ნევროზების წარმოშობაში, პიროვნების ფორმირებაში და მის ქცევაში. მაგრამ მთავარი ის არის, თუ რამდენად სწორად ასახა ფროიდმა არაცნობიერი ფსიქიკური პრობლემის არსი. აქ კი ბევრი რამ მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა მეცნიერებისათვის. აკადემიკოს გ. ჯიბლაძის მონოგრაფიაში ეს გარემოება ნათლად არის წარმოდგენილი.

ფროიდმა არაცნობიერის იდეა საფუძვლად დაუდო ნევროზების და მათი მკურნალობის მის მიერ დამუშავებულ თეორიას. მას მიაჩნდა, რომ თუ დაძაბული მოტივაცია (სურვილი, მისწრაფება და ა. შ.) არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს, მაშინ ის ცნობიერებიდან „განიდევნება“, აღარ ცნობიერდება, მაგრამ საბოლოოდ არ ისპობა. შენიღბული ფორმით იგი ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევასა და ორგანიზმის მდგომარეობაზე, ზოგჯერ გამოვლინდება ავადმყოფობის ფორმით. ამრიგად, ცნობიერებას ჰყავს ერთგვარი ორეული — არაცნობიერი, რომელიც ერევა მის მუშაობაში და წარმოდგება ძირითადად როგორც მისი კონკურენტი და ანტაგონისტი.

შემდგომში ეს სქემა გაფართოვდა. სრულიად განსხვავებული სოციალური პროცესების განხილვა დაიწყო ცნობიერისა და არაცნობიერის „მუდმივი ბრძოლის“ თვალსაზრისით, თანაც ამ უკანასკნელს ფროიდი მიაკუთვნებს ინდივიდებისა და კოლექტივების ბედს განსაზღვრელი მთავარი ძალის როლს, ხოლო ცნობიერების როლი დაყვანილია მხოლოდ და მხოლოდ ქცევის მართვის ილუზიამდე.

როგორც აკადემიკოს გ. ჯიბლაძის მონოგრაფიაშია აღნიშნული, ფროიდიზმი ფსიქოლოგიურ-სამედიცინო ხასიათის მოძღვრებიდან გადაიქცა თავისებურ ენციკლოპედიურ, უნივერსალურ მეცნიერებად, რომელმაც ისეთი დარგებიც კი მოიცვა, როგორიც არის ხელოვნებისა და ესთეტიკის თეორია. სწორედ ფსიქოანალიტიკური ესთეტიკის თეორიის კრიტიკას ეძღვნება გ. ჯიბლაძის მონოგრაფია.

ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის კონკრეტული მასალის გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ავტორი მკითხველისათვის ნათელს ხდის, რომ ერთია, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურული ქმნილების სახელმწიფო ავტონისპექციის უფროსმა ი. ჯანელიძემ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა დ. ცისკარიძემ ღია დატოვა ავტობუსი. ამით ისარგებლა ნასვამმა ხ. მალაყმაძემ, მორგებული გასაღებით აამუშავა ძრავა და ავტობუსი გაიტაცა. მალაყმაძის თავაშვებულობა ტრაგიკულად დამთავრდა. მანქანა ტროტუარზე ააგდო და ქვეითად მიმავალ დედასა და ორ ბავშვს დაეჯახა, ერთი ბავშვი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. დანარჩენები ძნიშენ დაშავდნენ. დ. ცისკარიძეს მოძრაობის წესები რომ დაეცვა და მანქანის კარი დაეკეტა, უბედური შემთხვევა თავიდან იქნებოდა აცილებული.

დასასრულს ათობით მძღოლი, რომლებმაც „მცირე“ დარღვევები ჩაიდინეს. მაგალითად, რეიდის დროს ავტოკოლონა №2655 მძღოლმა მ. ცოცხალაშვილმა ავტომანქანა გაიჩერა ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელზე. №2659 ავტოკოლონის მძღოლმა ი. კობახიძემ გაიარა წითელ შუქზე, ნ. ბერიძემ საკუთარი მანქანა დაააყენა გადასასვლელზე. ასეთი „მცირე“ დარღვევები ხშირად ავარიულ * მდგომარეობას ქმნის, ამატომაც იმ დღეს პერსონალურად გააფრთხილეს დამრღვევი მძღოლები და ისიც უთხრეს, რომ სხვა შემთხვევაში მკაცრ ზომებს მიმართავენ.

შეხვედრაზე საუბარი გაიმართა მოძრაობის წესებში ამ ბოლო დროს შეტანილ ცვლილებებზე. გამოაფინეს თვალსაჩინო ნიშნები. ზოგიერთი მძღოლის მომზადება იქვე შეამოწმეს და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანეს.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘᲝᲒᲚᲘᲕᲛᲐ ᲠᲔᲘᲓᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ

ᲠᲔᲚᲘᲐ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲘ

ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲛᲫᲦᲝᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲖᲔ ᲛᲘᲘᲬᲘᲕᲘᲗ

ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲛᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ თებერვალს დილით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაბატონდა ზამთარი. თოვლმა დაფარა მთა-ბარი შავი ზღვის სანაპიროს გარდა, სადაც ჯერჯერობით კვლავ წვიმს.

თოვლმა გაახარა აგრომრეწვის მუშაკები და ჰიდროენერგეტიკოსები — მეტი იქნება წყალი. რა თქმა უნდა, ბავშვებიც გახარებულნი არიან — ტრანსპორტის მუშაკებს კი საზრუნავი გაუჩნდათ — 1 თებერვალს ნაშუადღევს არა მარტო უღელტეხილებზე, რესპუბლიკის მეტი წილი რაიონების გზებზეც მნიშვნელოვნად გართულდა მიმოსვლა, ბევრგან ნისლიც ჩამოწვა. მთებში მოსალოდნელია ზვავები.

— გზებზე შექმნილი ვითარება შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტცენტრის / უფროსმა ნიკოლოზ ბერაძემ, — ჰაერის ტემპერატურის დაწევას შეიძლება გზების მოყინვა მოჰყვეს — განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსა და მესხეთი-ჯავახეთში. ასე რომ, მძღოლები ყურადღებით უნდა იყვნენ. ნაკრძალთა მუშაკებმა, ბუნების ქომაგებმა ამ დღეებში მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ნადირ-ფრინველისადმი.

უახლოეს დღეებში დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოხალოდნელია ნალექი, უმთავრესად თოვლის სახით, აღმოსავლეთ საქართველოში — წამში 15-20 მეტრი ძალის ქარები. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში თოვა გაგრძელდება, გზებზე კვლავინდებურად მოსალოდნელია ნისლი.

სურათებზე: თოვლი თბილისში.

ა. სააკოვისა და შ. აივაზოვის ფოტო.

ᲝᲠᲓᲔᲜᲘ — ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲚᲡ

ᲝᲠᲛᲝᲪ წელიწადს ეძღვნება საბრძოლო ჯილდომ თავისი პატრონი და მიაგნო კიდეც. პეტრე მერკულოვს რუსთავის საქალაქო სამხედრო კომისარიატში საზეიმო ვითარებაში გადასცეს მესამე ხარისხის დიდების ორდენი.

... 1944 წელს იმიერკარპატეთში ბრძოლების დროს ცხრამეტი წლის მსროლელმა პ. მერკულოვმა მწყობრიდან პირველმა გადმოდგა ნაბიჯი წინ, როდესაც ბატალიონის მეთაურმა „მოენის“ შესაპყრობად უხმო მოხალისეებს. სხვა მზეერავებთან ერთად პეტრე ბუჩქნარში ჩაუსაფრდა მტერს მთელ არემარეში ერთადერთ წყაროსთან. გავიდა დღე. მერე, და აი, გამოჩნდნენ ფაშისტი პოლკოვნიკი და მისი ადიუტანტი, რომლებსაც წყალი მოსწყურებოდათ. ახალგაზრდა მებრძოლები ზუსტად მოქმედებდნენ და ორივე „მოენე“ შტაბში მიაბრძანეს.

ამ დავალების შესრულებისათვის პ. მერკულოვს მესამე ხარისხის დიდების ორდენი მიენიჭა. მაგრამ ჯილდოს მიღებაში მეომარს ხელი შეუშალა ჭრილობამ, ჰოსპიტლებმა, არეულ-დარეულმა საფრონტო გზებმა. 1946 წელს დემობილიზებულმა პეტრე მერკულოვმა შეიტყო, რომ ყველა ახლობელი დაღუპულა, დატოვა შობლიური ადგილი და ახალგაზრდა რუსთავის ასაშენებლად გამოეშურა.

ოცდაათ წელიწადზე მეტხანს იმუშავა მან მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში, ამ ცოტა ხნის წინათ კი პენსიაზე გავიდა. და აი, გამოიძახეს სამხედრო კომისარიატში, სადაც ვეტერანს ელოდნენ ახალგაზრდები — ისინი, ვინც ხვალ უნდა ჩადგეს სამშობლოს დამცველთა რიგებში, წვევამდელები გულთბილად მიესალმნენ ფრონტელს, რომელსაც ქალაქის სამხედრო კომისარმა, პოლკოვნიკმა ბ. ბუცხრიკიძემ სამშობლოს ჯილდო გადასცა.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. როტოვში დადთვრებულ საკავშირო ჩემპიონატზე წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს ი. სამტაევმა (გორნოალტაისკი), ა. იგნატენკომ, ტ. კალიმულინმა (ორივე — ომსკი), კ. ზუსაევმა (როსტოვი), ა. აბაევმა (გროზნო), დ. ტურლიხანოვმა (ალმა-ათა), ა.-ბ. ბატალოვმა (უფა), ს. პოტაპოვმა (ულიანოვსკი), ა. ფედორენკომ (გროდნო) და ვ. გრეგორიევმა (ჩელიაბინსკი). საქართველოს წარმომადგენელმა თ. აფხაზავამ (90 კგ) მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზავამ ამჯერად მისთვის ჯერ უჩვეულო წონითს კატეგორიაში იასპარეზა. საქართველოს სხვა მოჭიდავეთაგან საუკეთესო ექვსეულში მოხვდნენ თ. თედორაძე (90 კგ; IV ადგილი), ვ. ონიანი (62 კგ; V ადგილი) და ბ. დარჩია (82 კგ; VI ადგილი).

ᲤᲘᲖᲘᲣᲠᲘ ᲪᲘᲠᲙᲘᲡᲝᲑᲐ. კოპენჰაგენში დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს იასპარეზეს მოეკვეთეთა წყვილებმა. სამივე საპრიზო ადგილი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: პირველ ადგილზე გამოვიდნენ ნ. ბესტემიანოვა და ა. ბუკინი, მეორეზე — მ. კლიმოვა და ს. პოზომარენკო, მესამეზე — ნ. ანენკო და გ. სრეტენსკი.

ᲐᲮᲐᲠᲐᲯᲘ. ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში დამთავრებულ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 9,5 ქულით პირველ ადგილს დაეუფლა ინგლისელი ნიიჯელ შორტი. 8-8 ქულა დააგროვეს ლუბომირ ლუბოვეიჩმა, პრედრაგ ნიკოლიჩმა (ორივე—იუგოსლავია) და ვან დერ ვიღმა (ჰოლანდია).

ᲨᲔᲕᲘᲪᲘᲝᲜ ქალაქ მალმეში გრძელდება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბოლო შესარჩევი ეტაპი. მეორე ტურში ნანა ალექსანდრია დამარცხდა ლიდია სემიონოვასთან, მარტა ლიტინსკაიამ მოუგო აგნეშკა ბრუსტმანს (პოლონეთი), მინციანმა (ჩინეთი) — პია კრამლინგს (შვეიცია), ხოლო ელენე ახმილოვსკაიასა და ირინე ლევიტინას პარტია გადადგა პირველის უპირატესობით. ორი ტურის შემდეგ ლიტინსკაიას 2 ქულა აქვს, სემიონოვას და მინციანს თითო ქულა და თითო პარტია აქვთ გადადებული, ლევიტინას და ახმილოვსკაიას ჯერ არც ერთი პარტია არ დაუმთავრებიათ, ბრუსტმანს და კრამლინგს კი თითო პარტია აქვთ დასამთავრებელი.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ ტილბურგში კი დამთავრდა მოჭიდაობაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი არტურ იუსუპოვსა და იან ტიმანს (ჰოლანდია) შორის. მეცხრე პარტია იუსუპოვმა 24-ე სვლაზე მოიგო და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 6:3.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. კუბის გზებზე დამთავრდა საერთაშორისო ველოსიპედი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ელენე ახმილოვსკაია, დიდოსტატები ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი, დანა ნუცუ (რუმინეთი), მარგარიტა ვოისკა (ბულგარეთი), ტატიანა ლემაჩკო (შვეიცარია) და ტერეზა შტადლერი (იუგოსლავია) მონაწილეობდნენ. ასეთი გარემოცვაში 13 შესაძლებლობიდან 9 ქულით მეორე-მესამე ადგილების გაყოფა, მაშინ როცა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი გისწრებს, რა თქმა უნდა, უდიდესი წარმატებაა და მადლის თვალსაჩინო პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲞᲝᲡᲢᲘ

5 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მოგზაურთა კლუბი. 10.40 — მხატვრული ფილმი „წითელი დიპკურიერები“. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ოთხმოციანის კომუნისტები. 16.40 — კონცერტი. 17.05 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.35 — სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტური ფილმები. 18.05 — მოსწავლეთა შეხვედრა რსფსრ დამსახურებულ გამომგონებელ ბ. ა. სმირნოვთან. 18.50 — ფოტოკონკურსი „ობიექტივშია სამშობლო“. 18.55 სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტებს. 20.15 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.50 და 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „სერგი ლაზოს ცხოვრება და უკვდავება“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. X კლასი. 14.30 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი — „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“. 14.55 — დრამატურგია და თეატრი, ბერნარდ შოუ. 15.40 — მოსწავლეებს ფიზიოლოგიისა და

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲤᲔᲚᲔᲤᲘᲭᲠᲘᲡᲐᲜᲔᲑᲖᲔ

პიგიენის შესახებ. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „ეს უჩვეულო ზამთრის ტურიზმი“. 19.45 — სოფლის საათი. 20.45 — რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — მუსიკალური კიოსკი. 21.45 — ფიგურული სრიალი თხილამურებით. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი.

ᲗᲔᲰᲠᲘᲡᲘ

5 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — ჩვენს დიად სამშობლოში — საინფორმაციო დოკუმენტური ფილმი „სოფლის ცისფერი ცეცხლი“. 10.40 — მხატვრული ფილმი „წითელი დიპკურიერები“ (მ.). 12.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ყირიმული სეზონი“ და „ტიუმენი“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — თამაზ ვასაკაძე (განმეორებითი). 14.30 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 15.00 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსახიობი ქალი“. 15.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოლექტივთან ერთად“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30 — მოსწავლეთათვის — „თქვენთვის პატარებო!“. 18.05 — ხალხური შემოქმედება — „არხოტის საჯიხვებები“. 18.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 18.50 — კონცერტი. რ. შუმანის ნაწარმოებები. 19.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — „განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის „პროექტებს“ (მ.). 20.15 — მოამბე. 20.45 — „ჩვენ და ახალგაზრდობა“ (გადაცემა მესამე). 21.00 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო ფილმ-კონცერტი „მღერის მ. ამირანაშვილი“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოება). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „გრაჩები“.

მეორე პროგრამა. 16,35 — მხატვრული ფილმი „ცოლიანი საქმრო“. 17.55 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ლურჯი ქალაქი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

5 თებერვალი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ლია შუშაბანდი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ადამიანი იბადება ერთხელ; თბილისის სახელმწიფო დრამატული — იეთიმ გურჯი (მე-6 აბონ. მე-3 წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — რძლები; მინიატიურების სახელმწიფო — ახალ ბინას გილოცავთ; მეტეხის — საბა ხუროთმოძღვარი (პრემიერა); მოზარდ მაყურებელთა ქართული — გამოცდა (აბონ. № 43, 7. ს.).

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434 ᲣᲪ 05541 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲧᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲔᲜᲘ